

ქათევან გოგინაშვილი

მორენა შარია

ზოგადი

და

სამადიცინო

გენეტიკის ლექსიკონი

თბილისი

2011

UDC (უაკ) 575(038)+811.353.1'374.26:575
გ-26
გ-601

ქათევან გოგინაშვილი
მორინა შარია

ზოგადი და სამედიცინო გენეტიკის
ლექსიკონი

რედაქტორი:

აივანებო შათირიშვილი
თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ცოცხალი
სამყაროს შემსწავლელ მეცნიერებათა
ფაკულტეტის ემერიტუს პროფესორი

რეცენზენტი:

ლარისა ვაშაკიძე
მებაღეობის, მეცნიერეობისა და
მელიორიზაციის ინსტიტუტის ვაზისა და
ხეხილის გენოფონდის გენეტიკა-
სელექციის მთავარი მეცნიერ-
თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა დოქტორი

ISBN 978-9941-0-3644-6

ნინასიტყვაობა

წინამდებარე ლექსიკონში შეტანილია ბიოლოგის სხვადასხვა დარგის გენეტიკის, ციტოლოგისა და მე-დიცინის სახელმძღვანელოებსა და ლიტერატურაში ნახ-მარი ტერმინები. ლექსიკონში უცხო სიტყვისაგან ნა-წარმოები ტერმინების გარდა შეტანილია ქართული ტერმინებიც, რომელიც ლიტერატურაშია დამკვიდრე-ბული.

გასამარტავ სიტყვათა შედგენისას მხედველობაში უპირველეს ყოვლისა გვყავდა საშუალო სკოლის მოს-წავლეები, სტუდენტები, ბიოლოგის სხვადასხვა დარგ-ში მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტები და მედიკები.

ლექსიკონის შედგენისას გამოყენებულია თითქმის ყველა ის ლიტერატურა, რომელიც დღესდღეობით არ-სებობს.

კვალიფიცირებული მკითხველი ლექსიკონში ალ-ბათ იპოვის შეცდომებს, რომელიც ჩვენს მიერ ვერ იქნა შემჩერებული, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ ეს ლექსიკო-ნი სამსახურს გაუწევს ყველა ვისაც შეხება აქვს გენე-ტიკასთან და იმათაც ვინც ცალკეული არიან დაინტე-რესებულები.

— ۱ —

აპერაცია (გადახრა) ანუ ქრომოსომული ანომალია, ქრომოსომათა ნებისმიერი ტიპის მუტაციების ზოგადი სახელწოდებაა; დელეცია, ტრანსლოკაცია, ინვერსია, დუბლიკაცია.

აპიოტროფია (ბერძნ. ἀ — უარყოფა, διοίσ — სიცოცხლე, trophe — კვება) ორგანოს ან ორგანიზმის სიცოცხლის უნარიანობის დაქვეითება. აპიოტროფიის ფონზე უმნიშვნელო ზემოქმედებასაც შეუძლია გამოიწვიოს ფუნქციური და მორფოლოგიური ცვლილებები. აპიოტროფია განიხილება, როგორც თანდაყოლილი დეფექტი — კონსტიტუციური ანომალია.

აპრიკოსოვის სიმსივნე — კუნთოვანი სიმსივნის განსაკუთრებული სახე, რომელიც აღწერილი იყო პათანატომიის აკადემიკოს აბრიკოსოვის მიერ 1925 წ. ამ სიმსივნის უჯრედული ელემენტები მნიშვნელოვნად ემსგავსება მიობლასტებს.

აგამოსპერმია — ამ დროს ემბრიონი და თესლი წარმოიშობა არასქესობრივი გზით, რადგან მეიოზს და განაყოფიერებას ადგილი არა აქვს. განვითარებადი ემბრიონი ქრომოსომების რიცხვითა და გენეტიკური კონსტიტუციით დედის ორგანიზმის იდენტურია. ვეგეტაციური გამრავლება წარმოადგენს აპომიქსისურ პროცესს, რის შედეგადაც სქესობრივი პროცესი ან სრულიად ამოვარდნილია ან მისი ეფექტურობა ძლიერ არის შეზღუდული. ასე რომ


მის ადგილას ერთვება რეპროდუქციული მექანიზმები.

აგარი — პოლისაქარიდი, რომელსაც გამოყოფენ ზღვის წყალმცენარეები და გამოიყენება მყარი საკვებ გარემოს შესაქმნელად.

აგლუტინაცია (შეცემება) ეროვანის აგლუტინაცია — ქრომოსომების შეწებება მეტაფაზაში ან ანაფაზაში, როცა ისინი იმყოფებიან ერთ პოლუსზე ან შვილეული ქრომოსომების ანაფაზაში (პიდლის შეწებების ეფექტი, 1932).

აგინეზია (ბერძნ. α — უარყოფა, genezia — წარმოშობა) სინონიმი აპლაზია: სხეულის ან ორგანოს რომელიმე ნაწილის თანდაყოლილი არარსებობა ან ნაწილობრივი განუვითარებლობა. აგნეზიის მიზეზები ისევე როგორც სიმახინჯეებისა არ არის ზუსტად დადგენილი, საერთოდ კი დაკავშირებულია ემბრიონის განვითარების დარღვევასთან.

ადენზინტრიფოსფატაზა — ფოსფატების ჯგუფის ფერმენტია, რომელიც ახდენს ადენოზინტრიფოსფორმჟავას დეფოსფორილებას; 1935 წელს აღმოაჩინა კუნთებში კ. ლომანმა, ვ. ენგელგარტმა და მ. ლიუბიმოვამ დაადგინეს, რომ ადენოზინტრი ფოსფატაზური აქტივობა დაკავშირებულია და განუყოფელია კუნთის ძირითად ცილასთან მიოზინთან. აღნიშნული ფერმენტის ზემოქმედებით ატფ-საგან წყდება ფოსფორმჟავს ერთი მოლეკულა და წარმოიქმნება ადენოზინდიფოსფორმჟავა (ადფ).



იმის გამო, რომ ატფ შეიცავს მაღალერგულ კავ-შირებს, მისი ჰიდროლიზის დროს ხდება მექანიკური ენერგიის ტრასფორმაცია კუნთური შეკუმშვის მექანიკურ ენერგიად. გარდა ადენოზიტროფოსფატაზა (წყალხსნადი ატფ ასპირაზა), ასპირაზა ფართოდაა გავრცელებული ცოცხალ ორგანიზმთა (ადამიანი, მცენარეები, ცხოველები და მიკროორგანიზმები) ქსოვილებში.

ადენინი — აზოტოვანი ფუძე პურინის ნარმოებული, რომელიც შედის დნმ-ს და რნმ ნუკლეოტიდების შემადგენლობაში.

ადენიზინტრიცოსფორმებავა (ატფ) — ქიმიური სტრუქტურის მიხედვით ნუკლეოტიდია და შეიცავს აზოტოვან მჟავას (ადენინს), ჰენტოზას (რიბოზა), და ფოსფორმჟავას 3 მოლეკულას, რომელიც ძალიან არამდგრადი სტრუქტურაა. თავისთავად ფერმენტის მოქმედებით ატფ-ში წყდება კავშირი ფოსფორსა და უანგბადს შორის და განთავისუფლებულ ბმებს უერთდება წყლის ერთი ან ორი მოლეკულა. თუ წყდება ფოსფორმჟავას ერთი მოლეკულა, მაშინ ატფ გარდაიქმნება ადფ-ად (ადენოზინდიფოსფორმჟავა). ხოლო თუ მოწყდება 2 მოლეკულა, მაშინ ატფ გარდაიქმნება ამფ-ად (ადენოზინმონოფოსფორმჟავა). ატფ-გან ერთი გრამ-მოლეკულა ფოსფორმჟავას მოწყვეტისას თავისუფლდება დიდი რაოდენობით ენერგია (10000

კალ). ატფ გამოყენებულია უჯრედის სუნთქვის პროცესში, კუნთების შეკუმშვისას და უჯრედის გაყოფის დროს. ატფ შედის მცენარის და ცხოველის ყველა უჯრედის შედგენილობაში. ატფ რაოდენობა მერყეობს $0,02\%-0,5\%$ შორის. ყველაზე დიდი რაოდენობით ატფ-ს ჩონჩხის კუნთები შეიცავენ — $0,2-0,5\%$.

ადენლიგფომა — კეთილთვისებიანი სიმსივნე, რომელიც ვითარდება ყბის კუთხესთან და მჭიდრო კავშირშია ყბაყურა ჯირკვლებთან. სიმსივნე შედგება ლიმფოიდური ქსოვილისაგან, სადაც კარგადაა გამოხატული ჩანასახოვანი ცენტრები და შეიცავს ჯირკვლოვან, ზოგჯერ ცისტურად გაგანიერებულ კომპლექსებს.

ადენმა (ბერძნ. ადენ — ჯირკვალი, ომა — სიმსივნე) კეთილთვისებიანი ჯირკვლოვანი სიმსივნეა. ჩვეულებრივ ადენმა ვითარდება სარძევე ჯირკვალში, ფარისებრ ჯირკვალში, კუჭ-ნაწლავის ტრაქტში, თირკმელზედა ჯირკვლებში, საკვერცხეებში.

ადენმა ჩვეულებრივ მომრგვალო ფორმისაა და მოთავსებულია კაფსულაში.

ადენკარციომა — ჯირკვლოვანი ავთვისებიანი სიმსივნე (კიბო) — ვითარდება ჯირკვლოვან ან ჯირკვლის შემცველ ორგანოებში. ზოგჯერ სიმსივნური უჯრედები წარმოქმნიან ჯირკვლოვან სანათურებს.

ადენომიოდა — კეთილთვისებიანი შერეული შენების სიმსივნეა, შედგება სადა კუნთოვანი ბოჭკოებისა და ერთშრიანი ცილინდრული ეპითელიუმით ამოფენილი ჯირკვლოვანი სანათურებისაგან. პირველად აღწერილი იყო 1887 წ. ხიარის მიერ (chiari). გვხვდება საშვილოსნოში, საკვერცხებში და სხვა-გან.

ადენისარკოდა — შერეული გენების ავთვისებიანი სიმსივნეა, რომელიც შეიცავს ადენომურ და სარკომულ უბნებს.

ადისონის დაავადება — სინონიმი ბრინჯაოს დაავადება; თირკმელზედა ჯირკვლის ქრონიკული უკმარისობა. დაავადება პირველად აღწერა ედისონმა 1855 წ. გამოწვეულია ორივე თირკმელზედა ჯირკვლის ქერქის ატროფიულ — დესტრუქციული ცვლილებებით, რაც განპირობებულია ტუბერკულოზით, ავთვისებიანი სიმსივნით (კიბო — სარკომა), ათაშანგით და სხვა.

ადიტიური გენები — პოლიმერული გენები, რომლებიც ერთნაირ გავლენას ახდენენ ფენოტიპზე, მაგრამ ახასიათებთ. კუმულაციური მოქმედება.

ადრენალინი — თირკმელზედა ჯირკვლის ტვინოვანი ნაწილის პორმონი, რომლის ზემოქმედებით ვინოვდება არტერიოლები და კაპილარები, მატულობს არტერიული წნევა და სისხლში შაქრის შემცველობა, ინვევს სიმპათიკური ნერვების გაღიზიანებას.

ავტოგამია — თვითგანაყოფიერება ჰომოკლინური თვითდამტვერვის დროს. ერთი და იგივე ყვავილის გამეტების შერწყმა (ინცუხტი).

ავტოლიზი (ბერძნ. *autos*-თვით; *lisia* — გახსნა) ორგანიზმის უჯრედებისა და ქსოვილების დაშლა მათში არსებული ჰიდროლიზური ფერმენტების მოქმედების შედეგად. ავტოლიზის დროს ხდება ცილების, პოლისაქარიდების, ნუკლეინის მუავების, ლიპიდების და სხვა შენაერთების დაშლა, რაც გამოწვეულია შესაბამისი ფერმენტების (კარბოჰიდრაზა, ლიპაზა და ა.შ.) მოქმედებით.

ავტომუტაგენეზი — მუტაგენური ფაქტორები, რომლებიც ორგანიზმში წარმოიშობიან ნივთიერებათა ცვლის პროცესში. ავტომუტაგენებმა შეიძლება გამოიწვიოს გენური და ქრომოსომული მუტაციები.

ავტოკოლიპლოიდი — ინდივიდი, რომელსაც ავტოპოლიპლოიდის საფუძველზე თავის ქრომოსომულ ნაკრებში აქვს რამდენიმე ერთნაირი გენომი (ავტოტეტრაპლოიდი, ავტოპექსაპლოიდი) მას ეწოდება ბალანსირებული, ხოლო თუ არაწყვილადია (ტრიპლოიდი, პენტაპლოიდი), ეწოდება არაბალანსირებული. თუ ავტოპლოიდს ქრომოსომულ ნაკრებში აქვს ორ წყვილ ჰომოლოგიურზე მეტი, მეორეზში ირლვევა ჰომოლოგიური ქრომოსომების კონუგაცია — დაცილება. ბივალენტებთან ერთად ნარმოიქმნება უნი-, ტრი- და ტეტრავალენტები — დაბალ სიცოცხლისუნარიანი გამეტები. მაგ.: ავ-

ტოტეტრაპლოიდმა **A_{aaa}** შეიძლება ნარმოქმნას **Aa** გენოტიპის მქონე გამეტები.

ავტოკოლიპლოიდია, ეუკლოიდია — ერთი და იმავე სახეობის ჰაპლოიდურ ნაკრების ორჯერადზე მეტ-ჯერ გადიდება.

ავტორალიოგრაფია (ბერძნ. *autos*-თვით, *radio* — ვასხივებ, *grapho* — ვწერ) — თანამედროვე მედიცინის, კერძოდ მორფოლოგიური გამოკვლევების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია, რომელიც საშუალებას იძლევა გაირკვეს ქსოვილებში შეტანილი რადიოაქტიური იზოტოპების და ნიშანდებული ნივთიერების მიკროლოკაცია ცალკეულ უჯრედში.

ავტოტროფული — ორგანიზმები, რომლებიც არაორგანული ნივთიერებებიდან ორგანული ნივთიერების სინთეზისათვის იყენებენ მზის სხივურ ენერგიას — ფოტოსინთოკოსები (მწვანე მცენარეები) და ორგანიზმები, რომლებიც ორგანული ნივთიერების სინთეზისათვის იყენებენ არაორგანული ნივთიერების დაუანგვის დროს გამოყოფილ ენერგიას — ქემოსინთოკოსები (გოგირდ-ნალბადის ბაქტერიები, რკინის ბაქტერიები).

აზოტოვანი ფუძე — ფუძე, რომელიც შედის ნუკლეიის მჟავის შემადგენლობაში. არსებობს ორი ტიპის — პირიმიდინული (ურაცილი, თიმინი, ციტოზინი) და პურინული (ადენინი, გუანინი).

აკრომეგალია (ბერძნ. *acros* — კიდური, *megas* — დიდი). აკრომეგალია პირველად აღწერა ფრანგმა ნევროპათოლოგმა პიერ მარიმ 1886 წ. დამახასიათებელია ძვლებისა და რბილი ქსოვილების პათოლოგიური ცვლილებები: ვითარდება თავის ქალას, ქვედა ყბის, კიდურების გადაჭარბებული არაპროპორციული ზრდა, გამოწვეულია ჰიპოფიზის წინა წილის უჯრედების ჰიპერსეკრეციით ზრდასრულ ასაკში.

ალბინიზმი — აუტოსომურ-რეცესიული ტიპის გენური დაავადება, რომელიც განპირობებულია ფერმენტ თიროზინაზას სინთეზის დარღვევით, რომელიც თიროზინს გარდაქმნის მელანინად.

ალელი — გენის ერთი ან რამდენიმე ალტერნატიული ფორმა, რომელთაგან თითოეულს ახასიათებს ნუკლეოტიდების უნიკალური თანმიმდევრობა.

ალელი მრავლობითი — ალელური გენების ორზე მეტი მდგომარეობა, რომელიც წარმოიშვა ერთი გენის ლოკუსის მუტაციის შედეგად.

ალერგია — ტერმინი “ალერგია” შემოიტანა პირკემ 1906 წ. ნივთიერებებს, რომლებსაც აქვთ ალერგიის გამოწვევის უნარი ენიდება ალერგენები. ალერგიის დროს ორგანიზმის საპასუხო რეაქცია შეიძლება მომატებული იყოს (ჰიპერერგია) ან შესუსტებული (ჰიპორერგია) ან შეიძლება რეაქცია სულ არ არსებობდეს (ანერგია).

ალივენური ორგანიზმი — ქიმიკული ორგანიზმი, რომელიც შედგება გენეტიკურად განსხვავებული ჩანასახების ბლასტომერებისაგან.

ალკაპტონურია — მეტაბოლიზმის დარღვევა, რომელიც ხასიათდება გონებრივი ჩამორჩენილობით, ორგამიზმში ჰომოგენეტიზური მუჟავის (ალკაპტონის) დაგროვების გამო, რომელიც ჰაერზე მუქდება.

ალოდიალოდი — ორგამიზმს, რომელსაც ერთი ან რამდენიმე წყვილი ქრომოსომა შეწყვილებული აქვს სხვა სახეობის ინდივიდის წყვილი ქრომოსომის ანალოგიურ წყვილთან.

ალოპეცია — მყარი ან დროებითი გამელოტება, თმების ნაწილობრივი ან სრული გაცვენა.

ალფა-ფეტოროტეინი (აფტ) — ემბრიონალური ცილა, რომელიც ალმოჩენილია ნაყოფის, ახალშობილის, ფეხმძიმე ქალის სისხლში და ასევე ამნიონის სითხეში.

ამპერ-შუტაცია — მუტაცია, რის შედეგადაც წარმოიქმნება ნონსენს — კოდონი (სტოპ-კოდონი) — უაგ, რომელიც იწვევს ცილის სინთეზის ნაადრევ შეწყვეტას.

ამპერ-სურვესორი — მუტანტური გენი, რომელიც აკოდირებს ტ-რნმ-ს, რომელსაც აქვს უნარი შეიცნოს (ათვალოს) ამპერ-კოდონი (უაგ).

ამინი — ორგანული ნაერთი, რომელსაც თავის შედგენილობაში აქვს ამინის ჯგუფი.

ამინაზავა — ცილის მონომერი, ორგანული ნაერთი, რომელიც შეიცავს ამინის ჯგუფს NH_2 -სა და კარბოქსილის ჯგუფს — COOH -ს.

ამინოაცილური ტ-რნმ — ტრანსპორტული რნმ, იერ-თებს ამინმჟავას, რომელიც გადააქვს ცილის სინთეზის ადგილას.

ამინოაცილური ცენტრი — რიბოსომაში $50S$ რიბოსო-მის უბანი, რომელსაც უერთდება ტრნმ მიერთებული ამინმჟავითურთ.

ამინცენტიზი — ჩანასახოვანი სითხის მცირე ნაწილის ამოლება პუნქციის მეშვეობით, რომელ-შიც შეტივნარებულია ემბრიონის უჯრედები. ხელოვნურ საკვებ არეზე იღებენ უჯრედულ კულტურას და იკვლევენ მას ციტოგენეტიკურად და ბიოქიმიურად, რომელსაც იყენებენ ადრეული მუტაციებისა და სქესის დასადგენად.

ამინჯგუფი — NH_2 — ქიმიური ნაერთი.

ამინური დაპოლოვაგა — პეპტიდური ჯაჭვის ბოლო, რომელსაც აქვს ამინთა თავისუფალი ჯგუფი.

ამინონის ლრუ — მისი კედლები წარმოიქმნება განვი-თარებადი ჩანასახის გარსისაგან.

აგალიფიკაცია — რიბოსომული რნმ-ის მაკოდირებელი გენების რიცხვის მკვეთრი გაზრდა იმ უჯრედებში, რომლებშიც აქტიურად ხდება ცილის სინთეზი (ამფიბიებისა და მწერების ოოციტებში). გენის ასლების გაზრდა მიმდინარეობს შებრუნებული ტრანსკრიპციის მეთოდით.

აგვიმიქსისი — მცენარისა და ცხოველის სქესობრივი გამრავლების ხერხი, რომლის დროსაც ახალი ორგანიზმი წარმოიშობა მდედრობითი და მამრობითი გამეტების შერწყმის გზით.

აგვიდიკლოიდი — ორგანიზმი, რომელიც წარმოიშობა სახეთაშორისი ჰიბრიდიზაციის გზით და აქვს ქრომოსომების ორი დიპლოიდური ნაკრები; სახეთა-შორისი ჰიბრიდების უმეტესობა უნაყოფოა იმიტომ, რომ მათ მიერ მიღებული ქრომოსომები სხვადასხვა მშობელს მიეკუთვნება, ამიტომ ვერ კონიუგირებენ მეიოზის დროს და ვრცელდებიან უწესრიგოდ, სწორედ ამიტომ მეიოზის პროდუქტი უნაყოფოა. მაგრამ თუ ასეთ ჰიბრიდში გაორმაგდება ქრომოსომები, ასეთ ჰიბრიდებში მეიოზი ნორმალურად მიმდინარეობს, რადგან ტეტრაპლოიდ ჰიბრიდს აქვთ ორვე მშობლის ქრომოსომების ორმაგი რაოდენობა. მეიოზის დროს ქრომოსომები კონიუგირებენ თავის ჰომო-ლოგიურ ქრომოსომებთან და სწორად ნაწილდებიან წარმოქმნილ გამეტებში.

ანაპიოზი — ორგანიზმის მდგომარეობა, რომლის დროსაც ყველა სასიცოცხლო პროცესი შესუსტებულია.

ანაფაზა — ბირთვის მიტოზური და მეიოზური გაყოფის ფაზა, რომლის დროსაც ქრომოსომები ან ქრომატიდები მიემართებიან სხვადასხვა პოლუსები-საკენ.

ანემია — ნამგლისებრი უჯრედების გენური დაავადებაა, რომლის დროსაც ერთოროციტები იღებენ ნამგლისებურ ფორმას, რაც განპირობებულია მჟემოგლობინის ანომალური ჯაჭვის მაკოდირებელი ჰომოზიგოტი აღელით.

ადეროგენეზი — მამრობითი პართენოგენეზი. განაყოფიერების შემდეგ მდედრობითი ბირთვი ელიმინირდება და წარმოშობილი ჰაპლოიდური ორგანიზმი, რომელსაც ანდროგენეტიკური ენოდება, შეიცავს მხოლოდ მამის ქრომოსომულ ნაკრებს.

ადეროგენი — ადამიანის და ცხოველის მამრობითი სასქესო ჰორმონი.

ათერიდიუმი — ბიშოფის მიხედვით ხავსებში — მარობითი სასქესო ორგანო. დღეისათვის მას უნდებენ ორგანოს, რომელშიც წარმოიქმნება სპერმატოზოიდები.

ადეროცეუმი — ყვავილის მტვრიანების ერთობლიობა.

აცეუკლოიდია (ჰეტეროალოიდია) — გენომური მუტაცია ქრომოსომათა დიპლოიდური ნაკრების არაჯერადი რაოდენობა, რომელიც გამოწვეულია ერთი ან რამდენიმე ქრომოსომის დაკარგვით ან დამატებით.

აცეცეფალია — თავის ტვინის სრული ან თითქმის სრული არ არსებობა.

აცეილოზი — სახსრების უძრაობა.

აცოვტალებია — ერთი ან ორივე თვალის კაკლის უქონლობა.

აცტიგენი — ნივთიერება, რომელსაც ორგანიზმი იღებს როგორც უცხოს და იწვევს სპეციფიკურ იმუნურ ეფექტს. ანტიგენური თვისებები აქვთ ყველა ცოცხალი ორგანიზმის მაკრომოლეკულურ კომპონენტებს.

აცტიკოდონი — სატრანსპორტო რნმ-ის მოლეკულის ნუკლეოტიდების თანმიმდევრობა, რომელიც მატრიცული რნმ-ისმოლეკულის კოდონების დამატებაა (კომპლემენტაციურია).

აცტიგუტაგენი — ფაქტორები, რომლებიც ასუსტებენ (აქვეითებენ) მუტაციის სიხშირეს. ანტიმუტაგენური მოქმედების ქიმიური ნივთიერებებია: I ჯგ. სულფოჰიდრილური ნივთიერებები; II ჯგუფი $\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_4$ ტიპის ნივთიერება, რომლებიც მოქმედებენ როგორც ძლიერი ალმდგენელები; III ჯგუფი

სპირტები (ეთილის სპირტი, გლიცერინი); IV ჯგუფი — ნახშირმჟავა მარილები.

ათეიოლა — მოლეკულა, რომელსაც გამოიმუშავებენ გარკვეული უჯრედები (ჩვეულებრივ ფრინველებსა და ძუძუმწოვრებში) ანტიგენის საპასუხოდ. ჩვეულებრივ მას აქვს უნარი დაუკავშირდეს ანტიგენს და გააქტიუროს ის.

არაენოდაეტილია — გენური დაავადებაა, აუტოსომურ-დომინანტური ტიპის მემკვიდრულობა. ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია “ობობასნაირი” თითები.

აპლაზია — რომელიმე ორგანოს თანდაყოლილი უქონლობა.

აპოგამია — აპომიქსისის ერთ ერთი ფორმა მცენარეებში.

არეალი — ტერიტორია, რომელიც უკავია სახეობას, პოპულაციას, ჯიშს.

აუტოსომა — ნებისმიერი არასასქესო ქრომოსომა განსხვავებული სასქესო ქრომოსომებისაგან (x ან y). ადამიანს აქვს 22 წყვილი აუტოსომა.

აუქსოფროზი — მუტანტური ორგანიზმი, რომელსაც არ შეუძლია ასინთეზოს სიცოცხლისათვის აუცილებელი ერთი ან რამდენიმე ნივთიერება.

აუტპრიდინგი — არანათესავი ინდივიდების შეჯვა-
რება, ახასიათებს მაღალი ჰეტეროზიგოტულობა. არამონათესავე ინდივიდების შეჯვარების დროს
მავნე რეცესიული მუტაციები გადადიან ჰეტეროზიგოტურ მდგომარეობაში და პირველი
თაობის ინდივიდები ხშირად აღმოჩნდებიან ხოლმე
სიცოცხლისუნარიანნი და გამძლენი ავადმყოფობის
მიმართ, ვიდრე მშობლები და აქვთ მაღალი
ნაყოფიერება.

აუტოკატალიზური ფუნქცია (დნმ-ს) — დნმ-ის უნარი
აკონტროლოს თავისი საკუთარი რეპლიკაცია
მასში არსებული გენეტიკური ინფორმაციის
არსებობის საფუძველზე, რომელიც უზრუნველ-
ყოფს ყველა აუცილებელ პროცესებს და
მექანიზმებს კომპლემენტური მოლეკულის
სინთეზისათვის.

აქონდროალაზია — გენური დაავადებაა, აუტოსო-
მურ-დომინანტური ტიპის მემკვიდრულობა, რომელიც გამოწვეულია ფერმენტ 5-ნუკლეოტიდა-
ზასა და გლუკოზო 6-ფოსფატაზას დარღვევით,
რაც იწვევს ლულოვანი ძვლების ეპიფიზებში
ხრტილოვანი ქსოვილის ზრდის დარღვევას.

აქსელერაცია — ბავშვების და მოზარდების ფიზიკური
და ფიზიოლოგიური განვითარების დაჩქარება.

აქტიური ცენტრი — უბანი ფერმენტის მოლეკულაში,
სადაც მიმდინარეობს ქიმიური რეაქცია.

- პ -

პაზოფილია — უჯრედებისა და ქსოვილების თვისება, ინტენსიურად შეიღებოს ძირითადი საღებავებით.

პარის სხეული — სასქესო ქრომატინი (კომპაქტური X ქრომოსომა).

პასი — ნუკლეოტიდური წყვილი.

პაპტერიოფაგი — ვირუსები, რომელსაც ბაქტერიაში შეჭრის, გამრავლებისა და ბაქტერიის ლიზისის უნარი აქვს.

პაპტერიოციდი — ზოგიერთი ბაქტერიის მიერ გამომუშავებული სპეციფიკური ცილა, რომელიც თრგუნავს იმავე სახეობის მეორე შტამის უჯრედების ან მონათესავე სახეობის უჯრედების ცხოველმოქმედებას.

პეპროსი — დამაბრუნებელი შეჯვარება, როცა ჰიბრიდი განმეორებით უჯვარდება რომელიმე მშობელს.

პენიცინი — კანცეროგენული ნივთიერება, რომელიც მიეკუთვნება არომატული ამინების ჯგუფს და იწვევს შარდის ბუშტის სიმსივნის განვითარებას.

პენისპირენი — კანცეროგენული ნივთიერება, რომელიც მიეკუთვნება პოლიციკლურ ნახშირწყლებს. მას შეუძლია სიმსივნური პროცესის ინდუცირება. იწვევს ფილტვის და თირკმლის სიმსივნეს.

პეტა-სხივები — ელექტრონების ან პოზიტრონების ნაკადი, რომელიც წარმოიშობა რადიაქტიური იზოტოპების დაშლის შედეგად.

პივალეთი — ორი კონუგირებული ჰომოლოგიური ქრომოსომა. ბივალენტების რაოდენობა ქრომოსომების ჰაპლოიდური რაოდენობის ტოლია. ყოველი ბივალენტი შედგება 4 ქრომატიდისაგან, ამიტომ ქრომოსომების ბივალენტებს უწოდებენ ქრომატიდების ტეტრადას. ბივალენტები წარმოიქმნება პირველი მეიოზური გაყოფის პროფაზაში.

პირგენები — ცოცხალი ორგანიზმის განვითარება, რომელიც მოიცავს ონტოგენეზს და ფილოგენეზს.

პირსინოები — მეტაბოლიზმის ნაწილი, რომელიც პასუხისმგებელია იმ მოლეკულების წარმოქმნაში, რომლისგანაც შედგება ორგანიზმი. მარტივიდან რთული ნივთიერების წარმოქმნა ცოცხალი ორგანიზმის მიერ.

პირიცორმატიკა — მეცნიერება, რომელიც შეისწავლის გენომის ფუნქციასა და სტრუქტურას, კომპიუტერული მოდელირებისა და პროგრამირებული მეთოდებით.

პირვსია ქორიონის — პროცედურა, რომელიც ხორციელდება ფეხმძიმობის მე-7, მე-11 კვირის პერიოდში პრენატალური დიაგნოსტიკისათვის უჯრედების მისაღებად.

პირთვაკი — უჯრედის მომრგვალო, ოპტიკურად ჰო-
მოგენური ორგანოიდია, რომელიც ლოკალიზებუ-
ლია ბირთვაკი. ბირთვაკი უჯრედში შეიძლება იყოს
ორი ან რამდენიმე. ბირთვაკი შედგება ცილებისა
და რნმ-გან. ბირთვაკში ყალიბდება რიბოსომები.

პირთვი — აღმოჩენილია ბროუნის მიერ 1831 წ. ბირთ-
ვი უჯრედის აუცილებელი ორგანოიდია (გარდა
სისხლში არსებული მომწიფებული ერითროციტე-
ბისა, რომლებსაც ბირთვი არა აქვთ). ბირთვი სი-
ცოცხლისუნარიანია მხოლოდ ციტოპლაზმაში. იგი
არის უჯრედის აქტიური ცენტრი. მასში არის
სტრუქტურული ელემენტები — ქრომოსომები,
ბირთვაკები, ბირთვის წვენი — კარიოპლაზმა.
ბირთვი ციტოპლაზმიდან გამოყოფილია ბირთვის
გარსით. ბირთვი *denovo* არ წარმოიქმნება, იგი
იყოფა (მიტოზი). ბირთვის ძირითადი ნივთიერება
— ქრომატინია, რომელიც დნმ-სა და ცილის კომ-
პლექსური წართავა.

პლასტოპატია — “ჩანასახის დაზიანება განაყოფიერე-
ბიდან 15 დღის შემდეგ. ჩანასახოვანი ფურცლების
დიფერენციაციის დამთავრებამდე.

პლასტომერი — ზიგოტის პირველი მიტოზური გაყო-
ფის დროს წარმოშობილი უჯრედი.

პლასტულა — ცხოველის ემბრიონის განვითარების სა-
წყისი სტადია, სფეროსებური ფორმისაა. აქვს
ბლასტულის ლრუ, ამოვსებულია უჯრედული სე-
კრეტით.

პლეზაროზიმოზი — ქუთუთოს დამოკლება ანუ თვალის ნაპრალის შევიწროება.

პრაეილაქტილია — თითების დამოკლება.

პრაეიცეფალია — თავის ზომის გაზრდა განივი მიმართულებით მისი ნორმალური ზომის მიმართ, რაც იწვევს ქალას ზომის შემცირებას სიგრძივი მიმართულებით.

გუნეპრივი გადარჩევა გარემო პირობებთან უკეთ შეგუებულთა გადარჩევა. გადარჩევის მეშვეობით სახეობები იკავებენ გარკვეულ, ეკოლოგიურ არეალს.

5-პროპერიდიდეზოქსილიზოზა — თიმინის მუტაგენური ანალოგი, რომელშიც 5-CH_3 ჩანაცვლებულია ბრომით.

- 8 -

გალაქტოზემია — აუტოსომური რეცესიული ტიპის მემკვიდრულობა, გენური დაავადება, რომელიც გამოწვეულია გალაქტოზო — 1 ფოსფატურიდილ-ტრანსფერაზის სინთეზის დარღვევით, რომელიც აკატალიზებს გალაქტოზო-1 — ფოსფატის ურიდინდიდოსფოგალაქტოზად გარდაქმნას.

გამეტა — მომწიფებული სასქესო უჯრედი.

გამეტა არაპროსოცერული — გამეტა, რომელიც წარმოიშობა კროსინგოვერის გარეშე.

გამეტა პროსოცერული — გამეტა, რომელიც კროსინგოვერის შედეგად წარმოიშობა.

გამეტოპატია — სასქესო უჯრედების დაზიანება, რომელიც იწვევს მემკვიდრული სტრუქტურის დარღვევას. გამეტოპატიას მიეკუთვნება ყველა მემკვიდრულობით განპირობებული თანდაყოლილი მანკი, რომელსაც საფუძვლად უდევს სასქესო გონიადების მუტაცია.

გამეტოზიტი — სქესობრივი თაობა ყვავილოვან მცენარეებში, რომელიც ატარებს ქრომოსომების ნახევარ რაოდენობას, სპოროფიტისაგან განსხვავებით, რომელიც წარმოიშობა განაყოფიერების შედეგად და აქვს ქრომოსომათა ორმაგი (დიპლოიდური) რაოდენობა.

გამეტოციტი — უჯრედი, საიდანაც გამეტოგენეზის დროს წარმოიქმნება გამეტები (მაკროსპოროციტი, მიკროსპოროციტი).

გამონი — კვერცხუჯრედის მიერ გამოყოფილი (გინოგამონი) და სპერმიების მიერ გამოყოფილი (ანდროგამონი), ნივთიერებაა, რომელთა სპეციფიკური კომპლექსური მოქმედება განაპირობებს განაყოფიერებას (სინგამია და კარიოგამია).

გაციკლოვირი — ნივთიერება, რომელიც ფერმენტითმიზინაზას მეშვეობით აზიანებს კიბოსგაყოფად უჯრედებს ადამიანში.

გასტრულა — ბლასტულის შემდგომი სტადია ცხოველის ემბრიონის განვითარებაში, როცა მასში ფორმირდება უჯრედების სამი შრე: გარეთა — ექტოდერმა; შუა — მეზოდერმა და შიგნითა — ენტოდერმა.

გენენაბობია (ანგიოზა) — თანდაყოლილი, კეთილთვისებიანი, სისხლძარღვოვანი წარმონაქმნი.

გენეალოგია — მეცნიერული დისციპლინა, რომელიც შეისწავლის გვარტომობას.

გენების დოზა — გენომში მოცემული გენების ასლების რაოდენობა.

გენების მდებარეობის ეფექტი — გენის მოქმედების შეცვლა ქრომოსომაში მისი მდებარეობის შეცვლით, რომელიც გამოწვეულია ქრომოსომების გარდაქმნის (ინვერსია, დუბლიკაცია, ტრანსლოკაცია) გამო. გენის მოქმედება დამოკიდებულია მათ გვერდით განლაგებულ (ლოკალიზებულ) გენებზე. გენების ამ კომპლექსს, (წოდებული გენების ბუდედ) ხშირად მიიჩნევენ ერთ გენად, რამდენადაც ამ გენებს შორის კროსინგოვერი იშვიათად ხდება. თუ გენების ბუდის შიგნით მოხდა დაწყვეტა ტრანსლოკაციით ან ინვერსიით, მოცემული გე-

ნის მოქმედება სხვა გენებთან ერთობლიობისას იცვლება.

გენეტიკა — არის მეცნიერება ორგანიზმების მემკვიდრულობისა და ცვალებადობის შესახებ. ტერმინი შემოტანილ იქნა 1906 წ. ვ. ბეტსონის მიერ.

გენი — არის სპეისერებით შემოსაზღვრული ნუკლეინისმჟავას მონაკვეთი, რომელსაც ახასიათებს სპეციფიკური ნუკლეოტიდური თანამიმდევრობა, წარმოადგენს ფუნქციის ერთეულს (განსხვავებულს სხვა ფუნქციის ერთეულისაგან), განიცდის ინვარიანტულ ავტორეპროდუქციას და ექვემდებარება მუტაციურ პროცესს.

გენი დომინაციი — გენი, რომელიც აღემატება ალელურ წყვილში რეცესივს და ფენოტიპურად ვლინდება ჰომო და ჰეტეროზიგოტულ მდგომარეობაში.

გენი ინდიპიტორი — გენი, რომელიც უშუალოდ არ მოქმედებს ფენოტიპზე, მაგრამ თრგუნავს სხვა არაალელური გენის მოქმედებას.

გენი ლეთალური — გენი, რომელიც ჰომოზიგოტურ მდგომარებაში იწვევს ორგანიზმის სიკვდილს.

გენი მუტაციორი (Demerec, 1937) — გენი, რომელსაც აქვს უნარი გაზარდოს სხვა გენის მუტაციის სიხშირე.

გენი ოპერატორი — დნმ-ის მოლეკულის უბანი, რომელიც ატარებს სტრუქტურული გენების ჩართვა-

გამორთვის ფუნქციას. გენი — ოპერატორი ლოკალიზდება დასაწყისში და იმყოფება ჩართულ მდგომარეობაში, ვიდრე მას არ შეუერთდება რეპრესორის მოლეკულა.

გენი რეცესიული — გენი, რომელიც ითრგუნება დომინანტი ალელით, ფენოტიპურად ვლინდება მხოლოდ ჰომოზიგოტურ მდგომარეობაში.

გენის დიფერენციალური აქტივობა — მრავალუჯრედიანი ორგანიზმების ყველა უჯრედი შეიცავს გენების იდენტურ ნაკრებს, მაგრამ სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქსოვილში სხვადასხვა გენები ფუნქციონირებენ, რის მეშვეობითაც ხორციელდება დიფერენციაცია. გენების აქტივობის რეგულაცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა დონეზე: 1) რეპლიკაციის, 2) ტრანსკრიპციის და 3) ტრანსლაციის დონეებზე. რეგულაცია რეპლიკაციის დონეზე ხორციელდება გენების ასლების გადიდების ან შემცირების ხარჯზე.

გენის ექსპრესიულობა — გენის მოქმედების ძალა, რომელიც ხასიათდება მოცემული გენის ნიშნის ფენოტიპურად გამოვლინების ხარისხით (დონით). გენის ექსპრესიულობა დამოკიდებულია მოცემული გენის გარემო პირობებთან და გენეტიკურ გარემოსთან (სხვა გენების თანაარსებობისას) ურთიერთმოქმედებაზე.

გენის კონცენტრაცია (სიხშირე) — გენის შეხვედრის შედარებითი სიხშირე პოპულაციაში. თუ პოპულა-

ციში A გენის კონცენტრაცია P-ს ტოლია, მაშინ მისი რეცესივი ალელის (a) კონცენტრაცია ტოლია (1-q). პოპულაციაში თავისუფალი შეჯვარების დროს შესაბამისი გენოტიპების სიხშირე განისაზღვრება ჰარდი-ვაინბერგის კანონით. მაგალითად, თუ პოპულაციაში გენოტიპი aa -ს $q^2 = 0.4$ -ის ტოლია, მაშინ q ალელის სიხშირე ტოლია $\sqrt{0.04} = 0.2$, დომინანტური ალელის p კონცენტრაცია ტოლია $1-q = 0.8$. ამ შემთხვევაში პოპულაციას აქვს გენოტიპების თანაბარი წონასწორობა $P2AA:2pqAa:qaa = 0.64AA:0.32Aa:0.04aa$.

გენის პენეტრაცია — პოპულაციის ინდივიდებში ფონოტიპური გამოვლენის სიხშირე. გენის პენეტრანტობა გამოიხატება პროცენტებში. მაგ. პენეტრანტობის 75% — ნიშნავს, რომ მხოლოდ ინდივიდთა $\frac{3}{4}$ -ს აქვს მოცემული გენი და ვლინდება ფენოტიპურად. გენის პენეტრანტობას ეწოდება სრული, თუ დომინანტური ან რეცესიული პომოზიგოტი ალელები ვლინდება ყოველ ინდივიდში.

გენერაციული ორგანოები — ორგანოები, რომლებიც დაკავშირებულია სქესობრივ გამრავლებასთან.

გენეტიკური ანალიზი — ორგანიზმის მემკვიდრულობისა და ცვალებადობის გამოკვლევა. გენეტიკური ანალიზის ფუძემდებლად გვევლინება გ.მენდელი (1865 წ.). გენეტიკური ანალიზი მოიცავს რიგ კერძო მეთოდებს, რომელთა გამოყენება ცალკე ან

კომპლექსში მიმართულია არსებითად გენეტიკური მოვლენების შეცნობისაკენ.

გენეტიკური კოდი — დნმ-ის მოლეკულაში ნუკლეო-ტიდების განლაგების თანმიმდევრობა, რომელიც განსაზღვრავს ამინმჟავების ადგილმდებარეობას ცილის მოლეკულაში. გენეტიკურ კოდს აქვს ტრიპლეტური ბუნება. აზოტოვანი ფუძე (ადენინი, გუანინი, ციტოზინი, თიმინი) ოთხი სახისაა, ხოლო მათი ტრიპლეტური თანაობა 64 -ია. ($4^3=64$).

გენეტიკური მოდიფიკაცია — ტრანსგენური ორგა-ნიზმი, რომელშიც გადატანილია ერთი ან რამდე-ნიმე გენი მის მიმართ არა მონათესავე ორგანიზ-მიდან.

გენეტიკური ტვირთი — პოპულაციაში ისეთი მუტა-ციების დაგროვება (ლეთალური და სხვა უარყო-ფითი მუტაციები), რომელიც აქვეითებენ ორგა-ნიზმების შეგუებულობას ირგვლივ მყოფ გარე-მოსთან.

გენოკოდი — მსგავსი ფენოტიპური ცვლილებები, რო-მელიც განპირობებულია სხვადასხვა არაალელურ გენთა მუტაციით.

გენომი — უჯრედის სრული გენეტიკური სისტემა, რო-მელიც განსაზღვრავს ორგანიზმის ინდივიდუალურ განვითარებასა და ყველა სტრუქტურულ და ფუნქციონალური ნიშნების მემკვიდრულ გადაცე-მას რიგ თაობებში.

**“გეომი” ტერმინი — ზოგჯერ გამოიყენება ქრომოსო-
მათა ჰაპლოიდური ნაკრების აღნიშვნისათვის.**

გეომური პიგლიოთეკა — ერთი სახეობის ორგა-
ნიზმთა დნმ-ის ფრაგმენტების ნაკრები, რომელიც
დაჭრილია ენდონუკლეაზიათი და გადატანილია
ვექტორებში.

გეომტროპინი — ზრდის სინთეზური პორმონი.

გეოფონდი — პოპულაციის (სახეობის) გენთა ერ-
თობლიობა.

გეორი თერაპია სასქესო უჯრედების — გენური
თერაპიის სავარაუდო მიმართულება, რომლის
დროსაც დეფექტური ალელები სასქესო უჯრედებ-
ში შეცვლილ იქნება, რაც ხელს შეუშლის მის გა-
დაცემას შთამომავლობაში.

გეორი ინიციალია — მოლეკულური ბიოლოგიისა და
გენეტიკის განყოფილება, რომლის საგანს წარ-
მოადგენს გარკვეული გენეტიკური პროგრამის
მქონე ორგანიზმებისა და სტრუქტურის შექმნა.

გეორი პროდუქტი — გენის ექსპრესიის შედეგი ე.ი.
რნმ ან ცილა.

გეორი თერაპია — უჯრედის გენეტიკური მასალის
(დნმ-ი ან რნმ-ი) შეტანა უჯრედში, რომლის ფუნქ-
ციასაც შეცვლის.

გირეკომასტია — მამაკაცებში სარძევე ჯირკვლების მოცულობაში მომატება. მამაკაცის ასეთი სარძევე ჯირკვალი ემსგავსება ქალისას. გინეკომასტია ვითარედება უმეტესად ახალგაზრდა და შუახნის ასაკში (16-40 წ), მაგრამ გვხვდება აგეთვე 5-10 წლის ბიჭებში და 70-80 წლის ასაკში.

გიროგენეზი — კვერცხუჯრედის ბირთვისა და ციტოპლაზმისაგან ახალი ორგანიზმის განვითარება, კვერცხუჯრედში შეჭრილი სპერმის მასტიმულირებელი მოქმედების საფუძველზე. სპერმატოზოიდი განაყოფიერებაში მონაწილეობას არ იღებს, რადგან ინაქტივიზირებულია სპონტანურად ან ექსპერიმენტულად.

გლია — ცენტრალური ნერვული სისტემის შუალედური ქსოვილი, რომელსაც რთული აგებულება აქვს.

გლიკოგენი — პოლისაქარიდი, რომელიც წარმოიქმნება გლუკოზების პოლიმერიზაციის გზით და ცხოველთა და ადამიანის ძირითად სამარაგო ნივთიერებას წარმოადგენს.

გლიკოლიზაციის რთული ცილები, რომლებიც შეიცავენ ნახშირნყლებს.

გლიკა — გლიკისაგან წარმოშობილი სიმსივნე. გლიკომები გამოირჩევიან მრავალმხრივი შენებით და კეთილთვისებიანი მიმდინარეობით.

გლიოსარკომა — გლიომების ავთვისებიანი სახესხვაობა, რომელიც ზოგიერთი თვისებებით ემსგავსება სარკომას.

გლობულიცეპი — ცილების (პროტეინების) ფართოდ გავრცელებული ჯგუფია, არ იხსნება წყალში, კარგად იხსნებიან მჟავეებში, ტუტეებსა და ნეიტრალურ მარილთა ხსნარებში, ხოლო გაცხელებისას დედდება.

გოლჯის აპარატი — გოლჯისა აღწერა 1898 წ. ქიმიური ბუნებით ლიპოპროტეიდული კომპლექსია. გოლჯის აპარატი მონაწილეობას იღებს ენდოპლაზმური ბადის მემბრანის შექმნაში.

გრაფიცეტი — სიმკვრივის ხსნარი (CaCl_2 ცეზიუმის ქლორიდი), რომელიც ცენტრიფუგაში მოთავსებულ სინჯარაშია, უკვირდებიან სიმკვრივის თანდათანობით გადიდებას და ცენტრისკენული ძალების მიმართულებას ცენტრიფუგაში. ასეთ ხსნარში მოლეკულები თავისი სიმკვრივის ან ზომის მიხედვით ნაწილდებიან.

გუანინი დნმ-ის ოთხი ფუძიდან ერთ-ერთი მათგანი.

- ღ -

დალტონიზმი — გენური დაავადებაა, რეცესიული ტიპის მემკვიდრეობა. შეჭიდულია X ქრომოსომასთან, დარღვეულია ფერთა შეფრძნების უნარი.

დალტონიკი — ფერებისადმი აღქმის თანდაყოლილი უუნარობა ადამიანში.

დაუნის სიცდრომი — აღწერა ინგლისელმა ექიმმა დაუნმა. დაუნით დაავადებულ ადამიანს ახასიათებს ფიზიკური ანომალიები გონებრივი ჩამორჩენილობით. დამახასიათებელია პატარა თავი, თვალის ვიწრო ჭრილი (მონღოლოიდური ჭრილი), ბრტყელი სახე, სქელი „გეოგრაფიული“ ენა, ნახევრად გაღებული პირი. დაუნის დაავადება განპირობებულია 21-ე ქრომოსომის ტრისომიით. ქრომოსომათა რაოდენობაა 47.

დაპტილოსკოპია — კანის (ნახატობის) შესწავლა.

დაგენერაცია — ნიშნავს გაუარესებას. უჯრედის, ქსოვილის, ორგანოს სტრუქტურის შედგენილობის ცვლილებები, რის გამოც სუსტდება ცხოველმყოფელობა და ფუნქცია.

დეზოქსირიზმია — ხუთნახშირბადიანი შაქარი, რომელიც შედის ნუკლეოტიდის შემადგენლობაში.

დელეცია — აბერაცია, ქრომოსომული მუტაცია, რომლის დროსაც იკარგება ქრომოსომის ფრაგმენტი.

დემი — ადამიანთა სუბპოპულაცია 1500დან — 4000-მდე რაოდენობით.

დენატურაცია — მოლეკულის სტრუქტურის შეცვლა. მაგალითად, ცილა დენატურაციის დროს კარგავს თავის ბიოლოგიურ აქტივობას.

დერმა — კანის შემაერთებელქსოვილოვანი ნაწილი, რომელიც განლაგებულია ეპიდერმისის ქვეშ.

დერმატოგლიფიკა — დაქტილოსკოპიის სინონიმი.

დეტერმინაცია — ემპრიონალური განვითარების პროცესი, რომლის დროსაც განისაზღვრება უჯრედის ბედი.

დიაკინეზი — პირველი მეიოზური გაყოფის ბოლო ფაზა, რომელიც მთავრდება ქრომოსომების სპირალიზაციით, ბივალენტები ლაგდებიან ბირთვის პერიფერიაზე.

დიპენტილი — მოლეკულა, რომელიც შედგება ორი პეპტიდისაგან და შეერთებულია პეპტიდური ბმით.

დიპლოიდი — ორგანიზმი, რომელიც სომატურ უჯრედში შეიცავს ქრომოსომების ორმაგ რაოდენობას ($2n$).

დისკრძანტულობა — ტყუპებს შორის განსხვავება რომელიმე ნიშნის მიხედვით.

დისპარმია — ორო სპერმატოზოიდის შეჭრა კვერც-ხუჯრედში.

დისტიპიაზი — წამნამების ორმაგი რიგი.

დისტროფია — ქსოვილების, ორგანოების ან მთელი ორგანიზმის (კვების) მოშლა ანუ ნივთიერებათა ცვლის მოშლა.

დიფერენციაცია — ემბრიონული განვითარების პროცესი, რომლის დროსაც უჯრედები ღებულობენ სპეციფიკურ ფორმას და იწყებენ გარკვეული ფუნქციის შესრულებას.

დიქრომატი — ადამიანი, რომლის თვალის ბადურის კოლბები არ რეაგირებენ ან მწვანე ან წითელ სინათლეზე.

დც-ი — დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა, რთული პოლიმერული მოლეკულაა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ცილაში ამინმჟავების განლაგების თანმიმდევრობის შესახებ.

დც - ლიგაზა — ფერმენტი, რომელიც ფოსფოეთე-რულ კავშირს წარმოქმნის ნუკლეინის მჟავის ორ ფრაგმენტს შორის, ე.ი. მისგან ჯაჭვს წარმოქმნის.

დც - პოლიმერაზა — ფერმენტი, რომელიც ახორციელებს დნმ-ის რეპლიკაციას. აშორიშორებს დნმ-

ის ორმაგ სპირალს ორ პოლინუკლეოტიდურ ჯაჭვად.

დო-ის ლიზერი ჯაჭვი — ახლადსინთეზირებული დნმ-ს ჯაჭვი, რომლის მიმართულება (5^1 — 3^1) თანხვდება რეპლიკაციური ჩანგლის მოძრაობის მიმართულებას მეორე ახლადსინთეზირებულ ჯაჭვს, რომელიც პირველი ჯაჭვის კომპლემენტა-ლურია, ეწოდება დაყოვნებული.

დოლიგოცალია — თავის ქალას წაგრძელებული ფორმა.

დომენი — ნახევრადავტონომიური ერთეულები, ცილის მესამეული სტრუქტურის წარმოსაქმნელად.

დომინანტობა სრული — ალელთა შიდა ურთიერთქმედება, რომლის დროსაც დომინანტი გენი სრულად თრგუნავს რეცესიული ალელის მოქმედებას A>a.

დომინანტობა არასრული — შიდაალელური ურთიერთქმედება, რომლის დროსაც დომინანტი გენი არასრულად თრგუნავს რეცესიული გენის მოქმედებას (შუალედური დამემკვიდრება)

დონორი — ადამიანი, რომლის სისხლი გადაესხმება სხვა ადამიანს — რეციპიენტს.

დუბლიკაცია — ქრომოსომების ცალკეული ნაწილების, გენების გამრავლება. ერთ ჰომოლოგიურ ქრომოსომაში ნაწილების დაკარგვამ, შეიძლება მეორე ჰომოლოგიურ ქრომოსომაში იდენტური უბნების

ჯერადი გაზრდა გამოიწვიოს, რომლის დროსაც ჩნდება ფენოტიპური ეფექტი — თუ გენი წარმოდგენილია ძირითადად ერთი დოზით, მისი გაორმაგებით ან გასამმაგებით, გენის დოზაც იზრდება 2-ჯერ ან 3-ჯერ.

- 0 -

ეგზონი — ეუკარიოტების სტრუქტურული გენების ინფორმაციული ნაწილი.

ეგზოსტოზი — ერთეული ან მრავლობითი ძვალ-ხრტილოვანი წანაზარდები ძვლის ზედაპირზე.

ეგზოფთალმია — თვალის კაკლის წინ წამოწევა, რის გამოც თვალის ნაპრალი გაფართოებულია.

ევგენია — მოძღვრება ადამიანის ჯანმრთელბის მემკვიდრეობის შესახებ და მისი გაუმჯობესების გზები.

ევუქრიდიზმი — კლინიკური სინდრომი, რომელიც განპირობებულია სასქესო ჯირკვლების ჰიპო-ფუნქციით და ხასიათდება სასქესო ნიშნების განუვითარებლობით, დისპროპორციული ალნაგობით (შედარებით მოკლე ტანი და გრძელი კიდურები) და ხშირად სიმსუქნითაც.

ევანგელიატინი — გენეტიკურად აქტიური უბნები ქრო-მოსომაში.

ელონგაცია — ტრანსლაციის პროცესის პერიოდი პირველი პეპტიდური კავშირის წარმოშობიდან ბოლო პეპტიდური კავშირის წარმოშობამდე.

ემპიოგენეზი — ჩანასახის განვითარების პროცესი ჩასახვიდან დაბადებამდე.

ემპიოტოქსონი — რქოვანას თანდაყოლილი ანომალია, რქოვანას კიდის რგოლებრივი შემღვრევის სახით, რომელიც მოგვაგონებს მოხუცებულობის რკალს.

ედოთელი — სისხლძარღვების შიგნითა გარსი.

ედომიტოზი — მიტოზის სახესხვაობა, ქრომოსომების გაორმაგება ბირთვის გაყოფის გარეშე, რაც იწვევს პილოპლოიდური უჯრედის წარმოშობას.

ენოფალია — თვალის კაკლის ანომალური ჩაღრმავება.

ეპილერმა — კანის ზედა (გარეთა) შრე.

ეპიკანტი — ნახევარმთვარისებრი ფორმის ვერტიკალურად მიმართული კანის ნაოჭი ქუთუთოების შიგნითა კუთხეში.

ეპისტაზი — არაალელურ გენთა შორის ურთიერთმოქმედება, რომლის დროსაც — ერთი

არაალელური დომინანტი თრგუნავს მეორე არაალელური დომინანტი გენის მოქმედებას. ასე, მაგ. გენი A შეიძლება დაითრგუნოს B გენით. პირველი (A გენი) არის — ეპისტატიკური, მეორე (B გენი) ჰიპოსტატიკური.

ეპიზიზური ღრთილი — გრძელი ლულოვანი ძვლების სიგრძეზე ზრდის ზონა (უბანი).

ეპშტეინ-ბარის ვირუსი — რომელიც ადამიანში იწვევს ავთვისებიანი სიმსივნის განვითარებას.

ერითროციტები — სისხლის უბირთვო ფორმიანი ელემენტები, რომლებიც შეიცავენ ცილა ჰემოგლობინს. უანგბადი გადააქვს ფილტვებიდან ქსოვილებში. წარმოიქმნებიან ძვლის წითელ ტვინში. მათი სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 90-120 დღეა.

ერითროპოზი — ორგანიზმში ერითროციტების წარმოშობის პროცესი.

ესტრადიოლი — ქალის ერთ-ერთი მთავარი ჰორმონი.

ესტროგენები — ქალის სასქესო ჰორმონები.

ექტოდერმა — ცხოველთა ემბრიონის პირველადი ქსოვილი, რომლისგანაც წარმოიქმნება გარეთა ქსოვილი (კანი) და ნერვული სისტემის ძირითადი ნაწილი.

ეპტოპია — ორგანოების შერწყმა ან მისი მდებარეობა მისთვის უჩვეულო ადგილზე.

ეპტოპია - ბროლის — მინისებური სხეულიდან ბროლის ამოვარდნა.

ეპტომაიონი ეუთუთოსი — ქუთუთოს კიდის გადმობრუნება გარეთ.

ეპსპრესიულობა — გენის ფენოტიპური გამოვლინების დონე.

ეუკარიოტიკი — ორგანიზმები, რომლის უჯრედებს აქვთ ფორმირებული ბირთვი.

ეუალოიდი — ორგანიზმი, რომლის ქრომოსომის რიცხვი ძირითადი რიცხვის ჯერადია.

ეუპრომატინი — გენეტიკურად აქტიური უბანი ქრომოსომაში.

- 3 -

ვალეოლოგია — მეცნიერება ჯანმრთელობის შესახებ.

ვალიცი — შეუცვლელი ამინმჟავა, შედის მრავალი ცილის შემადგენლობაში, წარმოადგენს ერთ-ერთ საწყის ნივთიერებას B₃ — ვიტამინის სინთეზის დროს.

ვარიაცია — ინდივიდებს შორის მოდიფიკაციური ან გენოტიპური განსხვავება.

ვარიაციული რიგი — ინდივიდების განლაგება რომელიმე რაოდენობრივი ნიშნის მატების ან კლების მიხედვით.

ვასკულინზაცია — ორგანოების მომარაგება სისხლით.

ვირილიზაცია — (ლათ. vir—მამაკაცი) — სინდრომი, რომელიც გვხვდება ქალებში, აღინიშნება მამაკაცისათვის დამახასიათებელი თმიანი საფარის არსებობა, სხეულის კონფიგურაციის შეცვლა და ხმის დაბოხება. განპირობებულია ანდროგენული თვისებების მქონე ჰორმონების ჭარბი პროდუქციით. გვხვდბა ყველა ასაკში.

ვირუსი — (ლათ virus - „შხამი”), უსასრულოდ მცირე (ათეული ან ასეული მილიმიკრონი) პარაზიტია, რომელიც მრავლდება მხოლოდ ცოცხალ უჯრედში. ვირუსს ახასიათებს ცილოვანი კომპონენტები, რომლებიც ნუკლეიის მჟავას იცავენ ფერმენტების მოქმედებისაგან და განაპირობებენ მის შეღწევას ბაქტერიულ ან ეუკარიოტულ უჯრედში.

ვიტილოგო — კანის დისქრომიის რძისფერ-თეთრი დეპიგმენტირებული ლაქების გაჩენა.

ვოლფის არხი — წყვილი სადინარი ჩანასახში, საიდანაც მამაკაცებში ვითარდება თესლგამომტანი მილი.

ՅՐԱԿԱՆ ՍԱԳՈՒՐՈ — ჩինասաხութեան նվազագույն մուլակու, սաօ-
դանակա մամակացեածի տեսլու գամոմթանու սագուրաց-
ծու չուտարգեածա.

- 9 -

ՑՈՑՐՄԱ գանապոցուրեածու կազերպեաչրեածու.

ՑՈՑՐԵԱՅ — პորշեալու մեռություրու գապոցու პրոցանու մեսամե սტագուա. Ցոցրնեմա ոճպեած նպաւու პոմո-
լոցուրու յրոմուսումեածու կոնուցացուու. կոնուցա-
ցուա ხասուատցեած գանսակուտրեածու սություստուա დա
սպեցուուրոնեածու: Պոմոլոցուրու յրոմուսումուան
յրտ-յրտու տոտուրու նյուրտու ստացածցեած
մեռրե յրոմուսումու Շեսաձամու նյուրտու տո-
տուրու յրոմումերա կո Շեսաձամու յրոմումերաս.

ՑԵՋՐԹՈՒՐԵԱՅ — Ցեցրու նութեած նութեած գամունակունեածու ունումենու նեեածմուր պոմութու-
ցեածուան Շեդարեածու.

ՑԵՋԵԴՐՈ — ոճուցուածու, րոմելու մջեածու գամունակունեածու ունումենու այցերմունանցուցեածու դունա գագուց-
ծու.

ՑԵՏԱՌԱԼՄԱՐՈ ՀԵՅ — որչաժամուանու դունմ-ու մոլլեյուլա,
րոմելու Շեուցաց դունմ-ու սպուրալու ճամացուցեածու
եզուաս, րոմելու սպուրալու այժմալու տակուածակաց-
չաս. օմուսատցու, րոմ Ցեթզու Շենարինցու, այցո-

ლებელია, რომ ჯაჭვიანი ხვიის ბოლოებს არ
შეეძლოს თავისუფლად იბრუნოს ერთმანეთის მი-
მართ. ე.ი. დნმ-ის მოლეკულა კოვალენტურად უნ-
და ჩაიკეტოს რგოლად.

(Z) **ქრომოსომა** — ყ ქრომოსომის აღმნიშვნელი ფრინ-
ველებში, სადაც მდედრობითი სქესი ჰეტეროგამე-
ტურია და მდედრის სასქესო ქრომოსომებია (ZW).

ზოოგამატა — მოძრავი გამეტები, რომლებსაც
აგრეთვე ეწოდებათ პლანოგამეტები.

- 01 -

თალასემია — თანდაყოლილი ოჯახური ჰემოლიზური
ანემია.

თანამგზავრი — ქრომოსომული სეგმენტი, უფრო
ხშირად ჰეტეროქრომატული, რომელიც მოთავსე-
ბულია მეორადი ნაჭდევის დისტალურად.

თიამინი — ვიტამინ B₁.

თითოსტარა — ეუკარიოტულ უჯრედებში ცილოვანი
ძაფებისაგან შექმნილი სტრუქტურა, რომელიც
ანხორციელებს ქრომოსომათა მოძრაობას
მიტოზსა და მეიოზში.

თიმინი — ერთ-ერთი ფუძე პირიმიდინისა, რომელიც შედის ნუკლეიინის მჟავების და ნუკლეოიტების შედგენილობაში, რნმ-ში თიმინის ნაცვლად ურაცილია. თიმინი გამოყოფილი იყო 1893 წელს კოსელის მიერ მკერდუკანა ჯირკვლიდან. თიმინი დეზოქსირიბონუკლეიინის მჟავას აუცილებელი შემადგენელი კომპონენტია. ძუძუმწოვრებში თიმინი თავისუფალი სახით და მცირე რაოდენობით მოიპოვება სისხლსა და ლვიძლში.

თიმოა — (ბერძნ. thymos — მკერდუკანა ჯირკვალი, ომა-სიმსივნე) — მკერდუკანა ჯირკვლის ქსოვილისაგან განვითარებული ავთვისებიანი სიმსივნე.

თიმოციტები — მკერდუკანა ჯირკვლის ეპითელური უჯრედები.

თიროზინი — ერთ-ერთი ამინმჟავა. პირველად მიღებული იყო ლიბიხის მიერ 1846 წელს კაზეინის გახლეჩის გზით. იხსნება მჟავეებსა და ტუტებში. ადამიანის და სხვა ძუძუმწოვრების ორგანიზმში თიროზინი წარმოიქმნება ფენილალანინის დაჟანგვის გზით. თიროზინისა და ფენილალანინის ცვლის მოშლის შედეგად ადამიანის ორგანიზმში ვითარდება თიროზინოზი, ალკაპტონურია, ალბინიზმი და სხვ.

თიროზინაზა — ფერმენტი, რომელიც აკონტროლებს ამინმჟავა ფენილალანინის გარდაქმნას პიგმენტელანინად.

თრომბი — სისხლიანი შესქელება სისხლძარღვში ან გულში.

თრომბინი — ცილა, რომლის ზემოქმედებითაც თრომბის წარმოქმნის პროცესში ფიბრინოგენი გარდაიქმნება ფიბრინად.

თრომბოგენეზი — თრომბის წარმოქმნის პროცესი.

თრომბოციტები — სისხლის ფორმიანი ელემენტები, რომელთა როლი სისხლის შედედების პროცესში ცნობილი გახდა XIX ს-ის 80-იან წლებში. თრომბოციტები პათოგენურ როლს ასრულებენ თრომბოზების განვითარებაში.

- 0 -

იგრევ — ქრომოსომა (y) — მამრობითი სქესის განმაპირობებელი სასქესო ქრომოსომაა.

იდიოგრამა — ქრომოსომული ნაკრების ცალკეული ქრომოსომების გრაფიკული გამოსახვა, რომელიც უჩვენებს თითოეული ქრომოსომის სტრუქტურულ თავისებურებებს (ცენტრომერისა და თანამგზავრის მდებარეობას ქრომოსომის მხრების სიგრძეს და სხვ.) ასეთივე მნიშვნელობით ხმარობენ ტერმინებს: კარიოგრამა (ჩიპრუგი, 1933) და კარიოტიპს (დელონე, 1922).

იზოლაცი — (ადამიანის) სუბპოპულაცია, რომელიც
მოიცავს 1,5 ათასამდე ადამიანთა რაოდენობას.

იზოლაცია — თავისუფალი შეჯვარების შეზღუდვა ან
მთლიანად გამორიცხვა (პანმიქსია), პოპულაციის
ან სახეობის ინდივიდებს შორის.

იზოპრომოსომა — ქრომოსომა გენეტიკურად ორი
იდენტური მხრით, ერთი მეორის სარკისებური გა-
მოსახულება.

იმუნიტეტი — ორგანიზმის თვისება განთავისუფლდეს
მისთვის უცხო ნივთიერებისაგან. მედიცინაში იმ-
უნიტეტი ნიშნავს დაავადების მიმართ შეუვალო-
ბას. წარმოშობის მიხედვით არჩევენ თანდაყოლილ
და შეძენილ იმუნიტეტს.

იმუნური ტოლერანტობა — იმუნოლოგიური დამცვე-
ლობითი მექანიზმი, რომლის დახმარებით ხორ-
ციელდება ახლად წარმოქმნილ ავთვისებიან
უჯრედთა ამოცნობა და მოსპობა.

ინგრიდიენტი — ორგანიზმთა ახლონათესაური შეჯვა-
რება, რის შედეგადაც იზრდება რეცესიული ნიშნე-
ბის გამოვლინების ალბათობა.

იდეასი ცენტრომერული — ქრომოსომის მოკლე
მხრის თანაფარდობა ქრომოსომის მთელ სიგრძეს-
თან პროცენტული.

იდეიკანურია — ინდიკანის მომატებული შემცველობა
შარდში.

ინდუქტორი — ნივთიერება, რომელიც ცილა-რეპრესორს აკავშირებს და ჩართავს ოპერონს ან ტრანსკრიპტონს.

ინდუქცია — 1) გენის ექსპრესია ცილა — რეპრესორის ინაქტივაციის მეშვეობით; 2) პროცესი ემ-ბრიონალური განვითარების დროს, როცა უჯრე-დების ერთი ტიპი იწვევს უჯრედების მეორე ტიპის შეცვლას.

ინდუქცია ეპრიონალური — ემბრიონის უჯრედთა ერთი ჯგუფის გავლენა მის მახლობლად განლაგე-ბულ უჯრედთა ჯგუფის დიფერენცირებაზე.

ინცერსია — ეწოდება ქრომოსომის მონაკვეთების შემო-ბრუნებას 180^0 -ით. თუ ინვერსირებული ნაწილი მოიცავს ცენტრომერას, მას პერიცენტრული ეწო-დება, ხოლო თუ ინვერსია ხდება ქრომოსომის მხოლოდ ერთ მხარში ეწოდება პარაცენტრული ინვერსია.

ინიციაცია — ტრანსლაციის საწყისი ეტაპი, რომლის დროსაც ხდება რიბოსომის დაკავშირება ი-რნმ-თან და პირველი ტ-რნმ-ის შემოსვლა ამინმჟავით რი-ბოსომის ამინომჟავურ ცენტრთან.

ინსერცია (ტრანსლოკაცია) — ქრომოსომაში ქრომო-სომული აბერაცია, როდესაც გარკვეული ქრომო-სომული სეგმენტი გადაადგილდება იმავე ქრომო-სომის ადგილებში.

ინსულინი — ცილოვანი ჰორმონი, რომელიც არეგულირებს უჯრედის მიერ გლუკოზის შეთვისებას.

ინტერკინეზი — მოკლე შუალედი ორ მიტოზს შორის, რომლის დროსაც არ ხდება გენეტიკური მასალის გაორმაგება.

ინტერლეიკინი — ნივთიერება, რომელიც ასტიმულირებს იმუნური სისტემის უჯრედების აქტიურობას.

ინტერსექსი — სქესგაყოფილ სახეობაში, ინდივიდი, რომელსაც აქვს სქესის შუალედური გამოვლინება ამა თუ იმ დონით მარობით ან მდედრობითი სქესისაკენ. მაგ. დროზოფილაში, როდესაც მდედრს აქვს $2X:3A$ ინტერსექსია.

ინტერზაზა — ეუკარიოტული უჯრედული ციკლის ფაზა, რომლის დროსაც არ ხდება მიტოზი, ე.ი. შუალედი ორ მიტოზს შორის. ინტერზაზა მოიცავს 3 სტადიას: - G_1 პრესინთეზურს; S - სინთეზურასა და G_2 - პოსტინთეზურს.

უფერო კრისტალებია, ქსოვილებში თავისუფალი ურაცილი მცირე რაოდენობითაა. ურაცილის კომპლემენტალურია ნუკლეოტიდი ადენინი. დნმ-ის ნუკლეოტიდებში ურაცილის ნაცვლად შედის თი-მინი.

ურიკაზა — ფერმენტი, რომელიც შლის შარდის მჟავას.

უროლოგია — მედიცინის დარგი, რომელიც სწავლობს შარდსასქესო სისტემის დაავადებას, მკურნალობასა და პროფილაქტიკას.

უროლიტიაზი (შარდკენჭოვანი დაავადება) — თირკმლებში, საშარდე ბუშტში და შარდსადენში ქვების არსებობა.

უჯრედი — სიცოცხლის სტრუქტურული და ფუნქციური ერთეული. უჯრედი არსებითად წარმოადგენს ქიმიური ნივთიერების თვითწარმომქმნელს იმისათვის, რომ შეინარჩუნოს ქიმიური ნივთიერების აუცილებელი კონცენტრაცია. უჯრედი ელემენტარული ბიოლოგიური სისტემაა, რომელიც თავის არსებობას გაყოფით ინარჩუნებს. დღეისათვის ჩამოყალიბდა მეცნიერება უჯრედის ბიოლოგიის შესახებ, რომელიც იყენებს მეტად მრავალფეროვან მეთოდებს იმისათვის, რომ შეისწავლოს ორგანიზმის სიცოცხლე უჯრედის დონეზე.

უჯრედის პილერი — იმუნური სისტემის უჯრედი, რომლებსაც აქვს უნარი დახოცოს კიბოს უჯრედე-

ბი, ან უჯრედები, რომლებიც ატარებენ უცხო ან-ტიგენს.

უჯრედული თეორია — ჩამოაყალიბა 1839 წ. შვანძა. თანამედროვე უჯრედული თეორია მოიცავს შემ-დეგ დებულებებს:

1. უჯრედი არის ცოცხალი ორგანიზმის ძირითადი სტრუქტურულ-ფუნქციური და გენეტიკური ერთეული — სიცოცხლის ყველაზე უმცირესი ერთეული;
2. ყველა ერთუჯრედიანი და მრავალუჯრედიანი ორაგნიზმების უჯრედი აგებულებით, ქიმიური შედგენილობისა და ცხოველმყოფელობის პრო-ცესების გამოვლინებით ერთმანეთის მსგავსია;
3. ყოველი ახალი უჯრედი წარმოიშობა საწყისი (დედისეული) უჯრედიდან გაყოფის გზით;
4. უჯრედი არის ღია სისტემა, რომლის გზითაც ხორციელდება მიმოქცევა ნივთიერებისა და ენერგიის, ნივთიერების ნაკადის გარდაქმნა (ნივთიერებათა ცვლა).

- 3 -

ზაგი — იხ. ბაქტერიოფაგი.

ფაგოციტოზი — უჯრედის (სისხლის თეთრი სხეულა-კები) მიერ ორგანიზმში მოხვედრილი უცხო სხეულაკების (ბაქტერიები, დამლის პროდუქტები) შთანთქმა. ფაგოციტოზის მოვლენა აღმოაჩინა ი. მეჩინიკოვმა XIX ს-ის 80-იან წლებში, რომელმაც მიუთითა ფაგოციტოზის ზოგადბიოლოგიურ და იმუნოლოგიურ მნიშვნელობაზე.

ფაგოციტოზი კოლერის — ნივთიერება, რომელიც მონა-ნილეობას ღებულობს სისხლის შედედებაში.

ფაგოციტო როზენტალის — ნივთიერება, რომელიც მონანილეობს სისხლის შედედების პროცესში.

ფაგოციტო ხაგემანის — ნივთიერება, რომელიც მონა-ნილეობს სისხლის შედედების პროცესში.

ფოკომელია — კიდურების პროქსიმალური განყოფი-ლების განუვითარებლობა, ან სრული უქონლობა, რის გამოც ხელის მტევანი და ტერფი უშუალოდ სხეულზეა მიმაგრებული.

ფელგენის რააქცია — დნმ-ისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური რეაქცია, რომლის მეშვეობით განი-საზღვრება უჯრედში დნმ-ის ლოკალიზაცია. ეს მეთოდი შეიმუშავა ფელგენმა და როსენბეკმა (1924).

ფემინიზაცია — ქალის მეორადი სასქესო ნიშნების განვითარება მამაკაცებში.

ფენი — მორფოლოგიური ან ფიზიოლოგიური ნიშანი, რომლის ფორმირება (გამოვლინება) დეტერმინირებულია გენით და გარემო პირობებზეა დამოკიდებული.

ფენილალანინი — ერთ-ერთ ამინომჟავათაგანი.

ფენილკარბოცურია — მემკვიდრეობითი დაავადებაა. ამ დაავადების განვითარების მიზეზს წარმოადგენს იშვიათი გენის p არსებობა, ჯანსაღი ადამიანები-საგან განსხვავებით, რომელთაც აქვთ გენი P. p-თი განპირობებული ბიოქიმიური მოქმედება ეხება ამინმჟავა ფენილალანინს, რომლის მეტაბოლიზმი დებულობს ანომალურ სახეს. ნორმაში P გენის არსებობისას ფენილალანინი გარდაიქმნება თირო-ზინად.

ფენოკოპია — გარკვეული გენოტიპის მქონე ინდივიდში ისეთი ნიშნის განვითარება, რომელიც დამახასიათებელია განსხვავებული გენოტიპის მქონე ინდივიდისათვის. ფენოკოპია წარმოადგენს მოდიფიკაციას, ე.ი. არამემკვიდრეობითი ხასიათისაა. ისინი წარმოიქმნება გარემო პირობების ექსტრემალურ და მუტაგენური მოქმედებისას. ამ უკანასკნელის შემთხვევაში ფენოკოპიებს უწოდებენ მორფოზებს.

ფენოტიპი — ორგანიზმის ყველა ნიშნისა და თვისების ერთობლიობა, რომელიც ფორმირებულია გენოტიპისა და გარემო პირობების ურთიერთქმედების საფუძველზე. ფენოტიპი იცვლება ინდივიდის გან-

ვითარების პროცესში, ხოლო რაც შეეხება მოცე-
მულ ნიშანს, მხოლოდ მაშინ გამოხატავს გენო-
ტიპს, როდესაც რეცესივი ალელი ჰომოზიგოტურ
მდგომარეობაშია. საერთოდ ფენოტიპი არ წარ-
მოადგენს გენოტიპის სრულ გამოხატულებას, ის
ყოველთვის გენოტიპის ნაწილის გამოხატვაა, რო-
მელიც რეალიზირდება ონტოგენეზის მოცემულ
პირობებში.

ფერმენტები — ცილოვანი ნივთიერება, რომლებიც
წარმოიქმნება მცენარეულ და ცხოველურ ქსოვი-
ლებში და ხასიათდება ქიმიური რეაქციების დაჩ-
ქარების უნარით, ამის გამო ფერმენტებმა მიიღეს
ბიოკატალიზატორების სახელწოდება.

ფერმენტოპათია — გენური მუტაცია, რომელიც იწ-
ვევს ნივთიერებათა ცვლის მოშლას.

ფერტილური — ცხოველმყოფელი შთამომავლობის
წარმოშობის უნარი.

ფიპრინი — ცილა, რომლის ძაფების გაერთიანების სა-
ფუძველზე წარმოიქმნება თრომბი.

ფიპრინგენი — ცილა, რომლის პოლიმერიზაციის
დროსაც წარმოიქმნება ტრომბის ძაფები.

ფიპრინლიზინი — ცილა, რომელიც შლის თრომბს.

ფიპროპლასტი — შემაერთებელი ქსოვილის უჯრედი.

ფოტოსკოპია — ფიბროპტიკული ენდოსკოპით ნაყოფის დათვალიერება დედის ორგანიზმში.

ფიბროსარკომა — შემაერთებელი ქსოვილით მდიდარი სარკომა.

ფილადელფის ძრომოსომა — ადამიანის ქრონიკული მიელოიდური ლეიკოზისათვის დამახასიათებელი ქრომოსომა.

ფილოგენეზი — სახეობის ევოლუცია, ე.ი. განვითარება მისი წარმოშობის დროიდან თანმიმდევრული თაობის გრძელ რიგში.

ფილოგენეტიკა — გენეტიკის ნაწილი, რომელიც სწავლობს გენეტიკური მასალისა და მისი ელემენტების გარდაქმნას, იქნება ეს გენეტიკური მასალის გადანაწილება სქესობრივი გამრავლების დროს თუ მუტაციები.

ფიტოციდები — მცენარეების მიერ გამომუშავებული ბაქტერიოციდული, ფუნგიციდური და პროტისტოციდური ნივთიერებებია. ფიტონციდები მცენარეების ბუნებრივი იმუნიტეტის ფაქტორებია.

ფლუეტუაცია — მოდიფიკაციის განსაკუთრებული ფორმა, შედგება ძალზე ნელა და თანმიმდევრულად ცვლადი ნიშნისაგან, უმნიშვნელოდაა გადახრილი საწყისი ნიშნის საშუალო სიდიდისაგან.

ფოსფატი — ქიმიური კომპინაცია PO_4 , რომელიც გვხვდება ნუკლეინის მჟავასა და ზოგიერთ სხვა ნაერთებში.

ფრაგმენტი — 1. ქრომოსომის ცენტრული და აცენტრული უბნები, რომლებიც წარმოიქმნებიან ქრომოსომების დაწყვეტის შედეგად. აცენტრული ფრაგმენტები შეიძლება სრულიად მოსცილდეს ქრომოსომას (თავისუფალი ფრაგმენტი) ან დარჩეს წვრილი ძაფით (ფიქსირებული ფრაგმენტი). ფიქსირებული ფრაგმენტი ანაფაზაში მიემართება ერთ-ერთი პოლუსისაკენ, თავისუფალი უბანი რჩება ეკვატორზე და ელიმინირდება.

ფრაგმოპლასტი — კასრის ფორმის ფიგურა, რომელიც წარმოიქმნება გაყოფის თითისტარას ბოჭკოებით ანაფაზის ეკვატორულ ზონაში მცენარეულ უჯრედებში. ფრაგმოპლასტის ცენტრში ბირთვის გაყოფის დამთავრების შემდეგ (მიტოზი) წარმოიქმნება უჯრედული ფირფიტა, რომლებიც ყოფს შვილეულ უჯრედებს.

ფსევდოალელიზმი — მოვლენა, როდესაც ერთი და იმავე მუტანტური ნიშნის გამოვლინება განპირობებულია ერთი და იგივე გენის განსხვავებული უბნის მუტაციებით (ფსევდოალელები). ფსევდოალელიზმის დროს ფსევდოალელებს შორის შესაძლებელია კროსინგოვერი, რომელიც მუტანტური პომოზიგოტური ინდივიდებისა და ველური ფენოტიპის მქონე ინდივიდების შეჯვარებით მიღებულ შთამომავლობაში ვლინდება. ფსევდო-

ალელიზმი იწვევს აგრეთვე განსხვავებების ნარმოშობას ჰეტეროზიგოტების ფენოტიპში ფსევდოალელების ცის და ტრანს მდგომარეობის დროს (ველური და მუტანტური ფენოტიპები).

ფსევდოამიტოზი — მიტოზი, რომელიც გარკვეული აგენტის ზემოქმედებით (ეთერი, რენტგენის სხივები, მაღალი ტემპერატურა და ა.შ.) ჩერდება ადრეული ანაფაზის სტადიაზე. ბირთვი ქრომოსომების დესპირალიზაციის შემდეგ ჰანტელების ფორმას ღებულობს, რითაც გვაგონებს ამიტოზს.

ფსევდოპლეზაროპლასტი — შემჩნეულია ზოგიერთი მწერის სპერმატოგენეზში ჭეშმარიტი კროსინგოვერისაგან განსხვავებით, რომელიც ხდება ორივე ქრომატიდის ზუსტად ჰომოლოგიურ ლოკუსებს შორის. ფსევდოკროსინგოვერი შეიმჩნევა მუტაგენური აგენტებით დამუშავების შემდეგ არა-ჰომოლოგიურ ქრომატიდებში ერთმანეთთან ახლოს მყოფ ლოკუსებს შორის გაცვლის პროცესში.

ფსევდოგამია — ცრუ განაყოფიერება, რომელიც იწვევს გაუნაყოფიერებული კვერცხუჯრედიდან ჩანასახის აპომიქსისური განვითარების სტიმულაციას. ფსევდოგამიის დროს სამტრვრე მილი შეიჭრება ჩანასახის პარკში და შეაქვს სპერმიები, ერთ-ერთი სპერმია შედის კვერცხუჯრედის ციტოპლაზმაში, მაგრამ არ უკავშირდება კვერცხუჯრედის ბირთვს და თანდათან დეგენერირდება, მეორე სპერმია ერწყმის ჩანასახის პარკის ცენტრალური უჯრედის ბირთვს და დასაბამს

აძლევს ჰიბრიდულ ენდოსპერმს. ფსევდოგამიად ითვლება აგრეთვე ის შემთხვევა, როდესაც მტვრის მარცვალი მხოლოდ ხვდება დინგს, მაგრამ არ ღივდება, ან ღივდება, მაგრამ სამტვრე მილი ვერ აღწევს ჩანასახის პარკს.

ფსევდოგენი — ნუკლეოტიდური თანმიმდევრობა, რომელიც არის ქრომოსომაში და აქვს მჭიდრო ჰომოლოგიურობა რომელიმე ცნობილ გენებთან, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზის გამო ფუნქციურ აქტიურობას მოკლებულია.

ფსევდოედომიტოზი — ენდომიტოზის ტიპია, რომლის მსვლელობის დროსაც ქრომოსომები ისეთსავე მორფოლოგიურ ცვლილებებს განიცდიან, როგორც ენდომიტოზის დროს (იხ. ენდომიტოზი), მაგრამ არ იყოფიან, რის შედეგადაც ბირთვი ინარჩუნებს ქრომოსომების თავისსავე რაოდენობას. ქრომოსომების ეს ცვლილება მიმდინარეობს სხვა უჯრედების ენდომიტოზის სინქრონულად.

ფსევდოვირიონი — ვირუსული ნაწილაკი, რომელიც ვირუსული დნმ-ის ნაცვლად შეიცავს უჯრედულ დნმ-ს, რის მეშვეობითაც ახორციელებს ტრანს-დუქციას.

ფსევდოთანამგზავრი — ცენტრომერის ახლოს მდებარე სფეროსებრი სეგმენტი, ფსევდო-თანამგზავრის ყველაზე გავრცელებულ ტიპს ნარმოადგენს სუბტერმინალური ცენტრომერის

მქონე ქრომოსომის მოკლე მხარი, ამასთან ამ მხარს უწოდებენ ტერმინალურ ცრუ თანამგზავრს. ბირთვაკის მეორადი ჩანაჭდევის არსებობა იწვევს ინტერკალური ფსევდოთანამგზავრის წაროქმნას.

ფსევდოკროსიგროვერი — ჭეშმარიტი კროსინგოვე-რისაგან განსხვავებით, რომელიც ხდება ორივე ქრომატიდას ზუსტად ჰომოლოგიურ ლოკუსებს შორის, ფსევდოკროსინგოვერი შეიმჩნევა მუტა-გენური გენებით დამუშავების შემდეგ არაჰომო-ლოგიურ ქრომატიდებში ერთმანეთთან ახლოს მყოფ ლოკუსებს შორის გაცვლის პროცესში.

ფსევდომატაზაზა — უწოდებენ ისეთ მეტაფაზას, რომელსაც არა აქვს ტიპიური მეტაფაზური ანუ ეკვატორული ფირფიტა. მეტაფაზური ფირფიტის ნაცვლად ცენტრში წარმოიქმნება ქრომოსომული გროვა. ფსევდომეტაზაზა შეიმჩნევა ქლორალპიდრატით დამუშავების შემდეგ.

ფსევდომიტოზი — მიტოზის ანომალია, რომელიც ვითარდება მთელი რიგი ფაქტორების მოქმედების შედეგად.

ფსევდონოტი — ცრუპიბრიდი, რომელიც მიიღება სახეთაშორისი ჰიბრიდიზაციის დროს ამფიბიებში და აქვს სრული ან თითქმის სრული მსგავსება დედა ორგანიზმთან. უცხო სახეობის სპერმია გამეტების შერწყმისთანავე ელიმინირდება ან განვითარების სხვა და სხვა სტადიაზე მოგვიანებით იჩენს ნორმიდან გადახრებს. გაყოფის

დროს სპერმის ცენტრიოლი ნორმალურად ფუნქციონირებს და ტიპიურ მიტოზურ თითის-ტარას წარმოქმნის.

ფსევდოკოლიპლოიდია — ქრომოსომათა რიცხვის ცვალებადობა, რომელსაც თან არ სდევს გენეტიკური მასალის (ბირთვული) რაოდენობის შესაბამისი ცვლილება. ფსებდოპოლიპლოიდია შეიძლება იყოს დიფუზური ცენტრომერის მქონე ქრომოსომების ფრაგმენტაციის შედეგი (აგმატოპოლიპლოიდია) ან ტაქსონის ფარგლებში წვრილი, მონოცენტრული ქრომოსომების დიდი რაოდენობით და პოლიცენტრული ქრომოსომების მცირე რაოდენობით არსებობის დროს, რომლებიც წარმოიქმნებიან პირველთა შერწყმის ხარჯზე, რაც მოცემული ტოქსინის შიგნით პოლიპლოიდური რიგების ილუზიას ქმნის.

ფსევდოფარტილოპა — იგივეა, რაც ფსევდო-შეთავსებადობა.

ფსევდოფარაგენტი — წვრილი, ანაფაზური მოძრაობის დროს ჩამორჩენილი ქრომოსომა, რომელსაც აქვს ფრაგმენტის სახე.

ფსევდოქაზეპი — ქიაზმების მსგავსი ფიგურები, რომლებიც წარმოიქმნებიან ქრომოსომების დაცილების დროს მიტოზის ანაფაზაში, იმის გამო, რომ შვილეული ქრომატიდები დაკავშირებული რჩება ერთ წერტილში. ორივე ქრომატიდის ცენტრომერის დაცილებისას ქრომოსომების სეგმენტები,

რომლებიც ფსევდოქიაზმის პროქსიმალურად მდებარეობს, წვრილ ძაფებად იჭიმება იმ დროს, როდესაც დისტალურად მდებარე სეგმენტი წარმოქმნის ჯვრისმაგვარ ფიგურას, რომელიც ძლიერ გვაგონებს მეოზურ ბივალენტს არატერმინალური ქიაზმით.

ფსევდოქსანტობა — დაავადება, რომელსაც საფუძვლად უდევს ელასტიკური ქსოვილის მემკვიდრული დისტროფია, რაც ვლინდება კანზე და ლორნოვან გარსებზე მოყვითალო ფერის პაპილოზურატროფული კერების გაჩენით.

ფსევდოშეთავსებადობა — არის მოვლენა, როცა მიუხედავად შეუთავსებლობის მექანიზმების არსებობისა განსაკუთრებული პირობების დროს შეიძლება მოხდეს განაყოფიერება.

ფსევდოჰიგრიზი (ცრუპიბრიდი) — ენოდება დედისეული ტიპის მიხედვით პაპლოიდური ინდივიდის განვითარებას, რომელიც მიიღება სახეთაშორისი ჰიბრიდიზაციის დროს, როდესაც მამრობითი გამეტა მხოლოდ ასტიმულირებს კვერცხუჯრედის დაყოფას, ე.ი. არ ხდება კარიოგამია.

ფსორიაზი — ქრონიკული დერმატოზი, რომლის დროსაც კანზე აქერცვლადი პაპილოზური გამონაყარი ჩნდება.

ფტოზი — ზედა ქუთუთოს დაშვება.

– ጀ –

ქიაზმა — ბივალენტების ქრომატიდების გადაჯვარე-დინება პირველი მეიოზური გაყოფის პროფაზაში მათი კონიუგაციის დროს.

ქიაზმის ტერმინალიზაცია — ქიაზმის გადაადგილება ბივალენტების ბოლოებისაკენ, რომელიც I მეიოზური გაყოფის სპროფაზაში იწყება.

ქიმერა — ორგანიზმი (მცენარე, ცხოველი), რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეიცავს მისგან გენეტიკურად განსხვავებულ უჯრედებს ან ქსოვილს. ქიმერები ჩვეულებრივ მიიღება ხელოვნურად. ქიმერების მიღება ადგილია მცენარეებში. ქიმერა მიიღება სომატური მუტაციის შედეგად და ასევე მყნობის დროს, როდესაც შეხორცების (შეზრდის ადგილას ყალიბდება კვირტი, რომელშიც ქსოვილთა ნაწილი ეკუთვნის საძირეს და ნაწილი კი — სანამყენეს.

ქლოროპლასტი — მცენარის ეუკარიოტული უჯრედის ორგანელა, რომელშიც მიმდინარეობს ფოტოსინთეზი.

ქორიონებიოპსია — ქორიონის ხაოების ეპითელის ალება ციტოლოგიური და ბიოქიმიური გამოკვლე-ვების მიზნით.

ქორიონი — ემბრიონის გარეთა ხაოიანი გარსი.

ქრომატიდა — გაორმაგებული ქრომოსომის ორი შვილეული ძაფი, რომლებიც ცენტრომერებით არიან დაკავშირებული.

ქრომატიდის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ნუკლეოპროტეინის ძაფი — ქრომონემა. ისინი შედგებიან მიკროფიბრილებისაგან, რომლებიც ჩანს ელექტრომიკროსკოპში. მიტოზის ანაფაზაში შვილეული ქრომატიდები ერთმანეთისაგან დაცილების შემდეგ გადაიქცევიან დამოუკიდებელ შვილეულ ქრომოსომებად.

ქრომატინი — ინტერფაზულ ბირთვში მოთავსებული ბადისებრი ნივთიერებაა, რომელიც იღებება სპეციფიკური სალებავებით. ქრომატინი შედგება დნმ-სა და ჰისტონებისაგან, უმნიშვნელო რაოდენობით შეიცავს ცილებსა და რნმ-ს. ანსხვავებენ ორი სახის ქრომატინს: ჰეტეროქრომატინსა და ეუქრომატინს. ჰეტეროქრომატინი ინტენსიურად იღებება სალებავებით, ძირითადად ლოკალიზებულია ცენტრომერასთან ახლოს. ჰეტეროქრომატინი გენეტიკურად პასიურია. ეუქრომატინი კი გენეტიკურად აქტიურია.

ქრომონეა — ქრომოსომის ნუკლეოპროტეიდული ძაფი, წარმოადგენს ქრომატიდის სიგრძივ სტრუქტურულ ერთეულს. ქრომონემა წარმოადგენს მიკროფიბრილების კონას, რომელზეც ქრომომერები განლაგებულია გარკვეული რიგით. მიტოზისათვის ქრომოსომების მზადების პროცესში ქრომონემა განიცდის სპირალიზაციას, მაქსიმუმს აღწევს მე-

ტაფაზაში. ტელოფაზაში შეიმჩნევა ქრომოსომების დესპირალიზაცია. ქრომონემების მრავალჯერადი რეპლიკაცია, რომელიც მიტოზით არ მთავრდება (ენდომიტოზი) იწვევს გიგანტური პოლიტენური ქრომოსომის ნარმოშობას, რომელიც შედგება რამდენიმე ასეული ქრომონემისაგან.

ქრომოსომა — სტრუქტურა, რომელიც შედგება დნმ-სა, პოსტონებისა და სხვა ცილების კომპლექსისაგან. ასევე რნმ-ს მოლეკულისაგან. ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი სტრუქტურა, რომელიც შეიცავს გენეტიკურ ინფორმაციას.

ქრომოსომა ჰოლიცენტრული (ინგლ. Polycentric chromosomes) — ქრომოსომები, მრავალი ცენტრომერებით.

ქრომოსომა ჰომოლოგიური — ფორმითა და გენეტიკური სტრუქტურით ერთნაირი ქრომოსომები, რომელთა ერთნაირ ლოკუსებში ალელური გენებია ლოკალიზებული.

ქრომოსომები დამატებითი (B ქრომოსომები) — სახეობის ქრომოსომის ნაკრებში დამატებითი ქრომოსომა. ისინი ჩვეულებრივ პატარებია და განსხვავდებიან ძირითადი ქრომოსომებისაგან (A ქრომოსომისაგან). დამატებითი ქრომოსომების რაოდენობა იცვლება როგორც ერთი და იმავე მცენარის სხვადასხვა ქსოვილების უჯრედებში, ისე სხვადასხვა მცენარეებში.

B ქრომოსომა პირველად აღწერილ იქნა ა.ლონგლის მიერ სიმინდში. როგორც წესი B ქრომოსომები შედგება ჰეტეროქრომატინისაგან. დადგენილია, რომ B ქრომოსომა ან მავნე ზემოქმედებას ახდენს, ან მათი მოქმედება ნეიტრალურია.

ქრომოსომები ლიმიტირბული (ინგლ. chromosomes Limited) — ქრომოსომები, რომელიც გვხვდება მხოლოდ განსაზღვრულ ქსოვილში.

ქრომოსომები რგოლური — რგოლური ფორმის ქრომოსომა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას როგორც სპონტანურად, ისე მუტაგენებით დამუშავების შემდეგ მიტოზში და მეიოზში, ერთი დაწყვეტილი ქრომოსომის ბოლოების შერწყმის შედეგად. რგოლური ქრომოსომები ბუნებრივ პირობებში ჩვეულებრივ სტაბილური არ არის.

ქრომოსომების რიცხვის მუდმივობა — არის კანონი, რომლის თანახმადაც მცენარისა და ცხოველის ყოველი სახეობა ხასიათდება ქრომოსომებს გარკვეული ფორმისა და რიცხვის მუდმივობით. სასქესო უჯრედში ქრომოსომათა რაოდენობა განსაზღვრულია (n – ჰაპლოიდურია). სომატურ უჯრედში ორმაგია ($2n$ დიპლოიდურია).

ქრომოსომები სასქესო — ქრომოსომები, რომლებიც ჩვეულებრივი ქრომოსომებისაგან (აუტოსომებისაგან) განსხვავდება სტრუქტურითა და ფუნქციით და განსაზღვრავს სქესის განვითრებას, სასქესო

ქრომოსომები ეწოდებათ. x y ტიპის მიხედვით სქე-
სის განსაზღვრის დროს სასქესო ქრომოსომებიდან
ერთს ეწოდება x ქრომოსომა, მეორეს y ქრომ-
სომა, ხოლო ნყვილადობის დროს, იქმნება xx . y
ქრომოსომა პატარაა და გენეტიკური თვალსაზრი-
სით უფრო ინერტულია, ვიდრე x ქრომოსომა, რო-
მელსაც სხვა გენებთან ერთად აქვს სქესის რეა-
ლიზატორული გენებიც.

ქრომოსომების ფორმა (ტიპები) — მეტაციაზური ქრო-
მოსომების მორფოლოგიური თავისებურება უმთა-
ვრესად დამოკიდებულია ქრომოსომის პირველადი
სარტყლის – ცენტრომერის ადგილმდებარეობაზე,
ასევე მეორად სარტყელზე და თანამგზავრზე.
ანსხვავებენ შემდეგი ტიპის ქრომოსომებს:

1. მეტაცენტრული — ცენტრომერა მდებარეობს
ქრომოსომის ცენტრში და ყოფს მას ორ თანა-
ბარ მხარად;
2. სუბმეტაცენტრული — ცენტრომერა ოდნავ და-
ცილებულია ქრომოსომის ცენტრიდან და ქრო-
მოსომას ყოფს ორ არათანაბარ მხარად;
3. აკროცენტრული — ცენტრომერა მდებარეობს
ქრომოსომის ერთ-ერთ მხრის ბოლოსთან ახ-
ლოს, ქრომოსომას აქვს ერთი გრძელი და ერთი
მოკლე მხარი. მოკლე მხრის გარჩევა მეტაციაზა-
ში ძნელია;

4. თანამგზავრიანი ქრომოსომა — ქრომოსომას აქვს მეორადი სარტყელი და დისტალურად მდებარე თანამგზავრი.

ქრომოსომული აპერაციები — ქრომოსომების სტრუქტურის ან რაოდენობის შეცვლა.

ქრომოსომული მაგკვიდრეობის თეორია — თეორია, რომლის თანახმადაც ქრომოსომა მასში ლოკალიზებული გენებით წარმოადგენს მემკვიდრულობის მატერიალურ მატარებელს. ეს თეორია შექმნა და ექსპერიმენტალურად დაასაბუთა თ. მორგანმა თანამშრომლებთან ერთად.

1. გენები ლოკალიზებულია ქრომოსომაში;
2. გენები ქრომოსომაში ხაზობრივად არიან განლაგებულნი;
3. ქრომოსომაში არსებული გენები ქმნიან გენთა შეჭიდულ ჯგუფს.
4. ჰომოლოგიურ ქრომოსომებს შორის ადგილი აქვს უბნების გაცვლას (კროსინგოვერს).

ქრომოსომული მუტაციები — შიდაქრომოსომული (დელეცია, დუბლიკაცია, ინვერსია) და ქრომოსომათაშორისი (ტრანსლოკაცია, ტრანსპოზიცია და სტრუქტურული დარღვევები (დელეცია, დეფიშნისი), როდესაც ქრომოსომებში იკარგება მემკვიდრეობითი ინფორმაციის მქონე დიდი ან მცირე მონაკვეთები, ქრომოსომების მედიალურ ან ტე-

ლომერული ნაწილისაგან. ქრომოსომაში ნაწილის ამოვარდნა ხდება უბნებს შორის გაწყვეტის შემდეგ. თუ გაწყვეტა ხდება ქრომოსომის ერთ-ერთ მხარში და ცენტრომერის უქონლობის გამო მოწყვეტილი ბოლო უჯრედის ბირთვის პირველივე დაყოფისას იკარგება, ქრომოსომა მოკლდება. ასეთ ქრომოსომულ დანაკარგებს ტერმინალური დელეცია ანუ დეფოშენსი ეწოდება.

ქრომოსომის შიგნით, ერთ ბოლოში ორი ერთდროული გაწყვეტისას შესაძლებელია უცენტრომერო ქრომოსომის დიდი ნაწილი ამოვარდეს, შეერთდეს ბოლოებით და წარმოქმნას ე.წ. დეზორინგტირებული რგოლი, რომელიც დროთა განმავლობაში იკარგება. დარჩენილი ქრომოსომების ცენტრომერიანი და უცენტრომერო ნაწილები ერთდებიან და წარმოშობენ უცენტრომერო ქრომოსომას. ასეთ ქრომოსომულ ნაწილთა ამოვარდნას ინტერსტიციალური დელეცია ეწოდება.

ქრომოსომული ნაკრები — მოცემული ორგანიზმის უჯრედებისათვის დამახასიათებელია ქრომოსომათა ნაკრები. არჩევენ ქრომოსომული ნაკრების ორ ტიპს: ჰაპლოიდური ნაკრები (n) მომწიფებული სასქესო უჯრედში ან დიპლოიდური ნაკრები (2n) სომატურ უჯრედებში. განაყოფიერების დროს ერთიანდება ქრომოსომათა ორი ჰაპლოიდური ნაკრები და წარმოქმნება ზიგოტა ქრომოსომთა დიპლოიდური კომპლექტით და ყველა სომატურ უჯრედს აქვს ქრომოსომთა დიპლოიდური ნაკრები. მეიოზის დროს ხდება ქრომოსომთა რიცხვის 2-

ჯერ შემცირება და ჰაპლოიდური გამეტების წარმნა. თუ ქრომოსომების რიცხვის ცვალებადობა ძირითადი (n) რაოდენობის მიმართ არაჯერადია, ასეთ ქრომოსომულ კომპლექსს ეწოდება ჰეტე-როპლოიდური. მაგ. ორგანიზმს, რომელსაც ქრომოსომათა დიპლოიდურ ნაკრებში ერთი რომელიმე ქრომოსომა აკლია, ეწოდება მონოსომიკი (2n-1), ხოლო ორგანიზმს, რომელსაც ზედმეტი ქრომოსომა აქვს დიპლოიდურ ნაკრებში, ტრისომიკი (2n+1).

ქრომოსომული რუკა (გენეტიკური რუკა) — ქრომოსომის გრაფიკული გამოსახვა, რომელზეც ნაჩვენებია მოცემულ ქრომოსომაში დადგენილი გენთა შორის მანძილი კროსინგოვერის სიხშირის მიხედვით. ქრომოსომის ერთი ბოლო მიიღება ნულოვანად და აქედან აითვლება მოცემულ შეჭიდულ ჯგუფში ყველა გენებს შორის მანძილი მორგანიდებში. ამასთან, ქრომოსომულ რუკაზე მითითებულია ცენტრომერის უბანი. ქრომოსომული რუკა აიგება ყოველი წყვილის ჰომოლოგიური ქრომოსომისათვის. ერთი ქრომოსომის გენეტიკურ რუკა წარმოადგენს ერთ შეჭიდულ ჯგუფს. მაშასადამე, ყოველი სახეობისათვის შეიძლება შევადგინოთ იმდენი ქრომოსომული რუკა, რამდენი ქრომოსომაც აქვს მას ჰიპლოიდურ ნაკრებში. თითოეული ქრომოსომული რუკა ინომრება შესაბამისი ქრომოსომის ნომრით

ქრომოსომული რუკა, რომელიც აგებულია კროსინგოვერის გენეტიკური ალრიცხვის საფუძველზე

ენოდება გენეტიკური რუკა, სადაც გენების ლოკალიზაცია განსაზღვრულია.

ქრომოსომული შხახები — ქიმიური ნივთიერება, რომელიც არღვევს ქრომოსომთა ნორმალურ კონფიგურაციას და იწვევს პიკნოზს; წარმოქმნის ხიდებს, ფსევდომიტოზებს, მიკრობირთვებს და ა.შ. მაგ: რივანოლი, ტრიპაფლავინი.

ქრომოსომული ხიდი — ხიდი, რომელიც წარმოიშობა უჯრედის ორ პოლუსს შორის მიტოზსა და მეიოზში დიცენტრული ქრომატიდების დაჭიმვის შედეგად. დიცენტრული დაჭიმვა ხდება მაშინ, როდესაც ორი ცენტრომერა (კინეტოხორი) მიემართება სხვადასხვა პოლუსისკენ.

ქრომცენტრი — ქრომოსომების ჰეტეროქრომატიული უბნების შერწყმის შედეგად, წარმოშობილი წარმონაქმნი, განსაკუთრებით დამახასიათებელია დროზოფილას სანერნყვე ჯირკვლის ქრომოსომებისათვის.

ქსანტოცერია — ქსანტინის ჭარბი შემცველობა შარდში.

- გ -

შარდ მჟავა — პურინების დაშლის ძირითადი საბოლოო პროცესი.

შერევავსკ — **ტერერის** სინდრომი — ქრომოსომული დაავადება, რომელიც გამოწვეულია ქალის ორგანიზმში ერთი **X-ქრომოსომის** არ არსებობით.

შეჭიდულება — გენთა შორის კავშირი, რომელიც გამორიცხავს მათი დამოუკიდებელი მემკვიდრეობის შესაძლებლობას. შეჭიდულება განპირობებულია ერთსა და იმავე ქრომოსომაში ლოკალიზებული გენებით (ერთ ქრომოსომაში ლოკალიზებული გენები ქმნიან გენთა შეჭიდულ ჯგუფს).

შეჯვარება — განსხვავებული ნიშნის მქონე ინდივიდების შეჯვარება.

შეჯვარება საანალიზო — გენოტიპურად უცნობი დომინანტი ნიშნის მქონე ინდივიდის რეცესიული ნიშნის მქონე ინდივიდთან შეჯვარება დომინანტი ნიშნის მქონე ინდივიდის გენოტიპის დასადგენად.


შეჯვარება დამაპრუცებელი — პირველი თაობის ინდივიდის შეჯვარება რომელიმე მშობელთან ნიშნის გაძლიერების ან რეცესივი ნიშნის მქონე მშობლიდან ჰიბრიდის გენოტიპის დადგენის მიზნით.

შეჯვარება რეცისიკული — შეჯვარება ორი მშობლიური ფორმისა, როდესაც სხვადასხვა ნიშნის

მქონე ინდივიდების შეჯვარების დროს — ერთ შემთხვევაში დედად აირჩევა დომინანტი ნიშნის მქონე ინდივიდი და მამად რეცესივი ნიშნის მქონე ინდივიდი (ამ პირველ შემთხვევას პირდაპირი შეჯვარება ეწოდება ($\varnothing AA \times \varnothing aa$), ხოლო იმავე ინდივიდებიდან ახალ დედად აირჩევა რეცესიული ნიშნის მქონე და მამად დომინანტ ნიშნის მქონე ($\varnothing aa \times \varnothing AA$) მას შებრუნებული შეჯვარება ეწოდება. სქესის შეცვლა შეჯვარებაში — უდიდესი უმრავლესობის სახეობებში შედეგის შეცვლას არ იწვევს. ეს იმით აიხსნება, რომ როგორც პირდაპირი, ისე შებრუნებული შეჯვარების დროს ბირთვული მასალა, რომელიც აკონტროლებს ნიშნების განვითარებას გამეტაში თანაბარი რაოდენობით არის შემოტანილი, მაგრამ შედეგი იცვლება მაშინ, როცა შესასწავლი ნიშნის გენი სასქესო ქრომოსომაშია ლოკალიზებული \times ქრომოსომაში ან y ქრომოსომაში.


ეს მოვლენა, როცა სქესის შეცვლა შეჯვარებაში იწვევს შედეგის შეცვლას პირველად აღმოაჩინა მორგანმა, როცა ჯერ მდედრი ნითელთვალა შეუჯვარა თეთრვალა მამრს (პირდაპირი შეჯვარება), ხოლო შემდეგ თეთრთვალა მდედრი შეუჯვარა ნითელთვალა მამრს (შებრუნებული რეციპროკული შეჯვარება).

პირდაპირი შეჯვარება



მდედრებიც და მამრებიც წითელთვალიანები არიან


რეციპროკული შეჯვარება



ყველა მდედრი წითელთვალა

ყველა მამრი თეთრთვალა

შეჯვარება დიპიპრიდული — ორი წყვილი ალელური გენით განსხვავებული ინდივიდების შეჯვარებაა. დიპიპრიდული შეჯვარების შესწავლა მოხერხებულია მენდელის ცდების მიხედვით. ყვითელი შეფერილობის (A) გლუკოსილიანი (B) მცენარე შეუჯვარეს მწვანე (a) დანაოჭებულთესლიანს (b).



ამ ინდივიდების შეჯვარების შედეგად მიიღება AABb გენოტიპის მქონე ჰიბრიდები.

პირველი თაობის დიჰეტეროზიგოტი ინდივიდების შეჯვარებით ($\text{♀AaBb} \times \text{♂AaBb}$) მეორე თაობაში მიიღება 9 ნან.ყვ.გლ : 3 ნან.ყვ.დან. : 3 მწვ.გლ. : 1 ნან. მწვ. დანაოჭ. — ფენოტიპური შეფარდება.

გენოტიპური შეფარდება კი იქნება: 1AABB : 2AABb : 2AaBB : 4AaBb : 1AAbb : 2Aabb : 1aaBB : 2aaBb : 1aabb.

შეჯვარება ინკოდენტული — შორეული (სახეთა-
შორისი, იშვიათად გვართაშორისი შეჯვარება),
როდესაც მშობლიურ ფორმებს არა აქვთ ერთნაი-
რი რაოდენობის ქრომოსომები ან განსხვავება და-
კავშირებულია ციტოპლაზმასთან ან ორივესთან
ერთად. თუ შესაჯვარებელ სახეობებს არსებითი
განსხვავება აქვთ ციტოპლაზმაში, მაშინ შეჯვარე-
ბის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რომე-
ლი სახეობა არის ალებული დედამცუნარედ. მაგ.:
ხორბლისა და ჭვავის შეჯვარების დროს ჰიბრი-
დული თესლი შედარებით ადვილად ვითარდება,
მაშინ როდესაც შებრუნებული შეჯვარების დროს
— თესლის განვითარება შეუძლებელია, რაც აძ-
ნელებს ჰიბრიდული თესლის წარმოქმნას. F_1 თაო-

ბის ჰიბრიდებში შესაჯვარებელი სახეობების გენო-
მების შეუსაბამობის გამო მეიოზში ირლვევა ბივა-
ლენტების წარმოქმნა, რომელიც იწვევს ნაწილო-
ბრივ ან სრულ სტერილობას.

შეჯვარება კონგრუენტული — შიდა სახეობრივი ან
მონათესავე სახეობების შეჯვარება, როდესაც
მშობლიურ ფორმებს აქვთ შეთავსებადი ქრომო-
სომთა ნაკრები. კონგრუენტული შეჯვარება ექ-
ვემდებარება მენდელის კანონებს. F_1 თაობა ჩვეუ-
ლებრივ ფერტილურია და ხასიათდება ნორმალური
ცხოველმყოფელობით.

შეჯვარება მონოჰიბრიდული — ერთი წყვილი ალე-
ლით განსხვავებულ ინდივიდთა შეჯვარება, რომ-
ლის დროსაც სრული დომინირების დროს F_1 თაო-
ბის ყველა ჰიბრიდულ ინდივიდში ვლინდება დომი-
ნანტი ნიშანი (ერთგვაროვნების კანონი), ხოლო
მეორე თაობაში ხდება დათიშვა მშობლების ნიშნე-
ბის მიხედვით (3:1) დათიშვის კანონი.

შეჯვარება ჰიბრიდული — მრავალი ნიშნით
განსხვავებული ინდივიდის შეჯვარება, ჰიბრიდული
შეჯვარება ემორჩილება მენდელის და-
თიშვის იმავე კანონზომიერებებს, რომელსაც ექ-
ვემდებარება მონოჰიბრიდული და დიჰიბრიდული
შეჯვარების დროს – დათიშვა: ყველა გენეტიკური
პარამეტრი მეორე თაობის ჰიბრიდული და-
თიშვის დროს შეიძლება განვსაზღვროთ | ცხრილის
ფორმულის გამოყენებით.

ცხრილი №1

სრული დომინირება და სხვადასხვა რაოდენობის წყვილი
ნიშნით განსხვავებული ინდივიდების შეჯვარების დროს F_2
თაობაში ფენოტიპისა და გენოტიპის მიხედვით დათაშვის
ხასიათი და ჰიბრიდული ინდივიდების რაოდენობა

შეჯვარება	განსხვა ვებულ ნიშანთა წყვილე- ბის რაოდე- ნობა	ნარმო- შობილი გამეტე- ბის ტიპების რაოდე- ნობა	გამეტე- ბის შე- საძლე- ბელი კომბი- ნაციუ- რების რაოდე- ნობა	კლასების რაოდენობა		ფენოტიპუ- რი კლასების რიცხობრი- ვი თანაფარ- დობა
				ფე- ნოტი- პის მიხ- ედვით	გენო- ტიპის მიხ- ედვით	
მონოჰი- ბრიდული	1	$2^1=2$	$4^1=4$	$2^1=2$	$3^1=3$	$3:1$
დიპლო- დული	2	$2^2=4$	$4^2=16$	$2^2=4$	$3^2=9$	$9:3:3:1$
ტრიჰი- ბრიდული	3	$2^3=8$	$4^3=64$	$2^3=8$	$3^3=27$ 7	$27:9:9:9:$ $3:3:3:1$
ტეტრაჰი- ბრიდული	4	$2^4=16$	$4^4=256$	$2^4=16$	$3^4=81$	$(3:1)^4$
პოლიჰი- ბრიდული	n	2^n	4^n	2^n	3^n	$(3:1)^n$

შეჯვარება საფეხურებიზე — რთული შეჯვარების ნაირსახეობა, როდესაც ჰიბრიდიზაციაში თანდა-
თანობით (საფეხურებრივად) მონაწილეობს (ჩაერთვება) რამოდენიმე მშობლიური ფორმა.

$$[(AxB)xC]xD; [(AxB)x(CxD)]xE \text{ და } a.\tilde{e}.$$

შოპის პაპილომა — სადღეისოდ დადგენილია, რომ ამ დაავადების გამომწვევა ვირუსს შეუძლია დაავადოს

ადამიანიც, მაგრამ ეს არ წარმოადგენს დიდ საში-შროებას.

შტამი — მიკროორგანიზმების ან ვირუსების სპეციფიკური ტიპი, რომელსაც ჩვეულებრივ აქვს გარკვეული გენოტიპი და გამოზრდილია გამოკვლევების მიზნით.

შტამი Hfr — *E.coli* შტამია, რომელიც ჩაშენებულია გენომში *F* ფაქტორით, რის შედეგადაც ამ შტამის უჯრედები გამოიყენება დონორებად კონიუგაციის დროს.

- ჩ -

ჩანასახოვანი პლაზმა — მემკვიდრული ნივთიერება, ჩანასახოვანი პლაზმის ქვეშ ვეისმანი გულისხმობდა უჯრედის ანუ უჯრედთა ჯგუფს, რომლებიც არასდროს არ განიცდიან დიფერენცირებას.

ჩანართები — ციტოპლაზმაში და ზოგჯერ ბირთვშიც არამუდმივად არსებული ნაწილაკები. ჩანართები უჯრედის მეტაბოლური პროდუქტებია ან სეკრეციისა ან პიგმენტების წარმოქმნის პროცესში გამომუშავებული ნივთიერებები და პინოციტოზისა და ფაგოციტოზის საშუალებით უჯრედის მიერ გარემოდან შთანთქმული ნაწილაკებია.

ჩარგაფის ნესი — ჩარგაფის მიერ დადგენილია ფუნ-
დამენტალური დებულება მოლეკულურ გენეტიკა-
ში, რომლის მიხედვითაც დნმ-ის ნებისმიერ მოლე-
კულაში პურინის ფუძეების ჯამი $A+G=F$ -ოლია პი-
რიმიდინების ფუძეების ჯამისა $C+T$ ($A+G=C+T$);
ასევე $A=T$; $G=C$.

- 3 -

ცელულოზა — პოლიმერია, მცენარის ქსოვილების შე-
მადგენელი ნაწილი, განსაკუთრებით მერქნისა.

ცენტრილი — ცხოველური უჯრედის ორგანოიდი,
რომელიც განლაგებულია გაყოფადი უჯრედის
პოლუსებზე და განსაზღვრავს ქრომოსომების მო-
ძრაობას პოლუსებისაკენ.

ცენტრომერა — ქრომოსომის მექანიკური ცენტრი,
რომელზედაც მიმაგრებულია თითისტარას ძაფები
მიტოზისა და მეიოზის მეტა-ანაფაზაში. ქრომოსო-
მაში მდებარეობის მიხედვით არჩევენ მედიანურს,
სუბმედიანურს და ტერმინალურ ცენტრომებს.

- 1) მედიანური ცენტრომერა მდებარეობს ქრომო-
სომის ცენტრში და ქრომოსომას ყოფს ორ ტოლ
მხარად 1:1 შეფარდებით (მას შეესაბამება მე-
ტაცენტრული ქრომოსომა);
- 2) სუბმეტაცენტრული ცენტრომერა ქრომოსომის
ცენტრიდან ოდნავაა დაცილებული და მხრებით

- ქრომოსომას ჰყოფს ორ არათანაბარ მხრიან ქრომოსომად (სუბმეტაცენტრული).
- 3) სუბტერმინალური ცენტრომერა, როცა ცენტრომერა ქრომოსომის ცენტრიდან საკმაოდაა დაცილებული და ქრომოსომას ჰყოფს მკვეთრად არათანაბარმხრიან ქრომოსომად 1:3 (აკროცენტრული ქრომოსომა);
- 4) ტერმინალური ცენტრომერა, როცა ცენტრომერა ლოკალიზაბულია ქრომოსომის ერთ-ერთ ბოლოზე, (ტელოცენტრული ქრომოსომა). ჩვეულებრივ ქრომოსომას აქვს ერთი ცენტრომერა და მას მონოცენტრულ ქრომოსომას უწოდებენ. იშვიათად გვხვდება ორცენტრომერიანი ქრომოსომა და მას დიცენტრული ქრომოსომა ენოდება. ზოგს შეიძლება (იშვიათია) ჰქონდეს რამდენიმე ცენტრომერა ასეთ ქრომოსომას პოლიცენტრული ქრომოსომა ენოდება.

ცენტრომერა დიფუზური — ზოგიერთი უმარტივესი, მწერებისა და უმაღლესი მცენარის ქრომოსომის ცენტრომერა ხასიათდება მორფოლოგიური და ფიზიოლოგიური დიფერენციაციის უქონლობით. დიფუზური ცენტრომერის ქრომოსომას არა აქვს სარტყელი (ჭიმი). მოძრაობის უნარი აქვს ასეთი ქრომოსომის ნებისმიერ მონაკვეთს, რაც შესაბამის პირობებში იწვევს აგმატოფსევდოპოლიპლოიდიას.

ციცლი — პერიოდი პირველი მიტოზური გაყოფიდან მეორე მიტოზურ გაყოფამდე.

ციკლი უჯრედული — უჯრედის ცხოველმოქმედების პერიოდი — მისი წარმოშობის მომენტიდან შვილეული უჯრედების წარმოქმნამდე.

ციკლოპია — თვალის ერთი ორბიტის არსებობა, რომელიც მდებარეობს შუბლის შუა ხაზზე და შეიცავს ერთ ან ორ თვალის კაკალს.

ცისტრონი — გენის ბიოქიმიური ფუნქციის ერთეული. ცისტრონი არის გენის ნაწილი, რომელიც ატარებს ცილის მოლეკულის აგებულების შესახებ ინფორმაციას.

ციტოზენეტიკა — მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ორგანიზმის მემკვიდრულობასა და ცვალებადობას უჯრედულ სტრუქტურებთან, უპირველესად ქრომოსომებთან დაკავშირებით.

ციტოზინი — აზოტოვანი ფუძე (პირიმიდინის) შედის დნმ-ის და რნმ-ის ნუკლეოტიდების შემადგენლობაში ციტოზინის კომპლემენტალური ფუძეა გუანინი (პურინის).

ციტოკინეზი (ციტოტომია) — უჯრედის გაყოფა, მიწობის დასასრულს ჩვეულებრივ ტელოფაზაში ეკვატორულ ზონაში მიტოზური გაყოფის თითისტარას ძაფები — ენდოპლაზმური ბადის ელემენტებთან ერთად ახალი უჯრედული გარსის მასალას წარმოქმნიან, ციტოკინეზი მთავრდება ტელოფაზის დამთავრების თანადროულად ან ცოტა მოგვიანებით.

ციტოლოგია — მეცნიერება უჯრედის შესახებ. ის შეისწავლის უჯრედის ფუნქციას (ცხოველმოქმედებას) და სტრუქტურას (აგებულებას).

ციტომიქსისი — ორი უჯრედის ქრომოსომების შერწყმა — უფრო ვიწრო გაგებით ერთი უჯრედის ქრომატინის მხოლოდ ნაწილის შერწყმა მეორე უჯრედის ქრომოსომებთან.

- ვ -

ჯიში — სასოფლო-სამეურნეო თვისებებითა და მორფოლოგიური ნიშნებით მსგავსი ერთი კულტურის, ერთნაირი წარმოშობის მცენარეთა ჯგუფი, რომელიც გამრავლებულია გარკვეულ ბუნებრივ და საწარმოო პირობებში მოსავლიანობისა და პროდუქტიულობის ხარისხის გაზრდის მიზნით.

ჯიშ-კლონი — ჯიში, რომელიც მიღებულია ვეგეტატიურად მომრავლე კულტურებში გადარჩევის გზით და წარმოადგენს ერთი კლონიდან გამრავლებულ თაობას. ჯიშ კლონი მაღალი დონის გამოთანაბრებულობით ხასიათდება, რომელიც მხოლოდ ბუნებრივი მუტაციებით ირღვევა.

ჯიშ-კონტროლი — ჯიში, რომელსაც ადარებენ მოსავლიანობისა და სხვა სამეურნეო და ბიოლოგიური ნიშნების მიხედვით ყველა სხვა საცდელ ჯი-

შებს. ჯიშ-კონტროლი შეიძლება იყოს საწყისი ჯიში.

პიში-ხაზოპრივი — თვითმტვერია კულტურბის (ხორბლის) ჯიში, რომელიც მიღებულია ბუნებრივი პოპულაციებიდან ინდივიდუალური გადარჩევის გზით და წარმოადგენს ერთი ელიტური მცენარის გამრავლებულ შთამომავლობას.

პიში პიპრიდული — ჯიში, რომელიც მიღებულია ჰიბრიდული პოპულაციებიდან შეჯვარებით და შემდგომი გადარჩევის გზით.

- 3 -

ჰაალოიდია — გენომური მუტაცია, რომლის დროსაც, სომატური უჯრედები შეიცავენ ქრომოსომათა ერთმაგ ($n=1$) ნაკრებს.

ჰარდი-ვაინბერგის ფორმულა — გამოხატავს სქესობრივად მომრავლე პოპულაციებში გენების სიხშირის წონასწორობის პირობებს. ეს ფორმულა თანამედროვე პოპულაციური გენეტიკის ქვაკუთხედთა.

ჰემოგლობინი — სისხლის ნითელი სხეულაკების (ერითროციტების) მღებავი ნივთიერება, რომელიც შეიცავს რკინას. სისხლის პიგმენტს ჟანგბადი გადააქვს ფილტვებიდან ქსოვილებში.

ჰემიზიგოტურობა — მამაკაცებში რეცესიული გენის ფენოტიპური გამოვლინება. გენი იმყოფება X ან Y ქრომოსომის არა ჰომოლოგიურ უბანში (ლოკუსში).

ჰემოფილია (A და B) — X-ქრომოსომასთან შეჭიდული დავადებაა, მემკვიდრულობის რეცესიული ტიპით, რომელიც განაპირობებულია სისხლის შედედების VIII და IX ფაქტორით.

ჰერმაფროდიზმი — ერთი ინდივიდისათვის ორივე სქესის ნიშნების არსებობა.

ჰეტეროზიგოტი — ინდივიდი, რომელსაც სომატურ უჯრედში აქვს ერთი ალელის სხვადასხვა გენი.

ჰეტეროზისი — ცხოველუნარიანობისა და პროდუქტიულობის გადიდება პირველი თაობის ჰიბრიდებში მშობლებთან შედარებით (ჰიბრიდული ძალა).

ჰეტეროკარიონი — სომატური უჯრედი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა უჯრედის ორ ბირთვს.

ჰიბრიდიზაცია — გენოტიპებით განსხვავებულ ინდივიდთა შეჯვარება.

ჰიდროცეფალია — ტვინის პარკუჭებსა და თავისტვინის გარსქვეშა სივრცეებში თავზურგტვინის სითხის ჭარბი დაგროვება.

პირადობობიზე — სხვადასხვა სომატურ უჯრედში, ქრომოსომების სხვადასხვა რაოდენობით შემცველობა.

პიპერგენიტალიზე (პიპერგონადიზმი) — ასაკთან შეუსაბამო ადრეული სქესობრივი განვითარება.

პიპერემია — სისხლის დიდი რაოდენობით დაგროვება, სხეულის რომელიმე ნაწილში ან ორგანოში.

პიპერკერატიზე — კანის ეპიდერმისის რქოვანა შრის ზედმეტად გასქელება.

პიპერკინეზი — უნებლიერ მოძრაობა, კანკალის, კუნთების კრუნჩევითი შეკუმშვის და სხვა სახით, გამოწვეულია ტვინის დიდი ნახევარსფეროების ქერქის მოქმედების დარღვევის დროს.

პიპერეფრონა თირკმლის — პიპერნეფრონიტული კიბო.

პიპერალაზია — ქსოვილების სტრუქტურული ელემენტების რაოდენობის მომატება მათი ჭარბი ახალწარმოქმნის გზით.

პიპერტელორიზე — თვალების კიდეებს შორის მანძილის გაზრდა.

პიპერტროფია — ქსოვილის ან ორგანოს მომატება მოცულობაში, მისი შემადგენელი ელემენტების მოცულობაში გაზრდის შედეგად.

პიპერებიდროზი — ოფლის გამოყოფის გაძლიერება, საოფლე ჯირკვლების ფუნქციის გაძლიერების გამო.

პიპოგონადიზი — სასქესო ჯირკვლების უკმარისობის ყველა ფორმის აღმნიშვნელი ცნება პათოლოგიური მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს შინაგანი და გარეგანი სასქესო ორგანოებისა და მეორეული სასქესო ნიშნების განუვითარებლობა.

პიპოთეზა გარი ლაიონისა — პიპოთეზა სასქესო ქრომოსომების მიხედვით ქალის მოზაიციზმის შესახებ, რომელიც ქალის ორგანიზმს სძენს არახელსაყრელი პირობებისადმი გამძლეობას.

პიპოლაზია თადეაყოლილი — ორგანოს განუვითარებლობა, რომელიც გამოიხატება მასის ან ზომის შემცირებაში.

პიპოსადია — შარდსადენის ქვედა ნაწილის ნაპრალი მისი გარეთა ხვრელის გადაადგილებით.

პიპოტელორიზი — თვალბუდეთა შიგნითა კიდეებს შორის მანძილის შემცირება.

პიპოვიზის სიმსივეები — პიპოფიზში გვხვდება შემდეგი სახის სიმსივნეები: ადენომები, კრანიოფარინგიომები, უფრო იშვიათად ფიბროსომები, ანგიომები, სარკომები.

პიპოცისტონურია — მეთიონინის ცვლის მოშლით გამოწვეული მემკვიდრული დაავადება, რომლი-

სათვისაც დამახასიათებელია შემაერთებელი ქსოვილის ნერვული, ძვალ-კუნთოვანი და გულ-სისხლძარღვთა სისტემების დაზიანება.

პიკოპაკლოიდია — ინდივიდი ან უჯრედი, რომელთა ჰაპლოიდურ ნაკრებს აკლია ერთი ან რამდენიმე ქრომოსომა.

პირსუტიზმი — მამაკაცის ტიპის ზედმეტი თმიანობა გოგონებში.

პისტიდინია — პისტიდინის ცვლის მოშლით განპირობებული მემკვიდრული დაავადება, რომელიც ვლინდება ბავშვის ნერვულ-ფსიქიკური განვითარების ჩამორჩენის ფორმით.

პისტიდინი — ერთ-ერთი ამინმუავა, რომელიც შედის ცილათა უმეტესობის შემადგენლობაში.

პომოზიგოფი (პომოზიგოფური) — ინდივიდი, რომელსაც სომატურ უჯრედში აქვს ერთი ალელის ერთნაირი ვარიანტი (AA,aa).

პომოგამეტური სქესი — სქესი, რომელიც მეიოზის პროცესში ერთი სახის გამეტას წარმოქმნის. მაგ. ადამიანში და ძუძუმწოვარა ცხოველების მდედრსა და ფრინველებში მამრებს აქვთ წყვილი XX ქრომოსომა და ისინი პომოგამეტური სქესია, წარმოქმნის X-ქრომოსომიან გამეტებს.

პომოლოგიური პრომოსომები — დიპლოიდურ ორგანიზმში ქრომოსომები რომლებსაც აქვთ

ერთნაირი ფორმა, ზომა და გენტა ერთნაირი ნაკრები.

ჰომურულუსი — მეცნიერების ისტორიაში — ჰიპოტეტური მინიატურული არსება, რომელიც არის სპერმატოზოიდში ან კვერცხუჯრედში, რომლისგანაც ფეხმძიმობის დროს ბავშვი განვითარდება.

ჰორმონები — ჰორმონი ანუ ინკრეტი — შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მიერ სინთეზირებული ნივთიერებებია, ზოგიერთი ჰორმონი სტრუქტურის მიხედვით მიეკუთვნება პროტეინებს, მაგ. ტვინის დანამატის — ჰიპოფიზის წინა წილის ჰორმონი, ზოგი ოქტაპეპტიდია ჰიპოფაზის უკანა წილის ჰორმონი. ჰორმონების მესამე ჯგუფი სტეროიდული ხასიათისაა — თირკმელზედა ჯირკვლის ჰორმონები. ჰორმონები პირდაპირ გადადის სისხლში, ლიმფაში და გამოიტანება ჯირკვლიდან.

ჰუმორი — (ბერძ. humor — სითხე) — სხეულის სითხეებია: უჯრედგარეთა სითხე, ქსოვილური სითხე, ლიმფა, სისხლი.

**ლექსიკონის პედაგოგისას გამოყენებულია შემდეგი
ლიტერატურა:**

1. გ. გიორგაძე, გ. ბერიშვილი, რ. ფანცულაია — ციტოლოგიურ-გენეტიკურ ონკოლოგიური ლექსიკონის ცნობარი (1978).
2. თ. ლეჟავა — ადამიანის გენეტიკა, 1998.
3. თ. ლეჟავა — უჯრედის გენეტიკა, 2004.
4. Р. Ригер, А. Михаэлис — Генетический и цитогенетический словарь (1967).
5. Г.В. Гуляев, В.В. Мальченко — Словарь терминов по генетике. Словарь терминов по генетике, цитологии, селекции, семеноводству и семеноведению (1983).
6. Е.И. Морозов, Е.И. Тарасевич, В.С. Анохина — Генетика в вопросах и ответах (1989).
7. Р.Г. Заяц, В.Э. Бутвиловский, И.В. Рачковская, В.В. Давыдов — Общая и медицинская генетика (2002).
8. А.Ю. Асанов, Н.С. Демикова, С.А. Морозов — Основы генетики (2003).
9. Б. Гутман, Э. Гриффитс, Д. Сузуки, Т. Куллис — Генетика (2004).

ქათავან გოგინაშვილი
შორენა შარია

**ზოგადი და სამედიცინო განეტიკის
ლექსიკონი**

ბეჭა შუპაპიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა

თბილისი
2011